# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 2 ივნისი 2008 №124 (3348) ფასი 50 თეთრი


## ვისთვის ხოშიანი, ვისთვის შიშიანი

### ჩვენ კი გული ისევ ხელით გვიჭირავს

### საქართველო კალიბრში შეცდა






## SOS

### მამუკა კვარაცხელია ცემეს და დააყაჩაღეს

ამაზრზენი ამბავი მოხდა გუშინ გამთენიისას თბილისში. აეროპორტში მიმავალ მამუკა კვარაცხელიას ნიღბიანებმა გზა გადაუღობეს, სასტიკად გაუსწორდნენ და მანქანა წაართვეს. შეგახსენებთ, მამუკა კვარაცხელია ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი და უეფას მედია-ოფიცერია.

რეანიმაციაში მოხვედრილ მამუკას მალე გამოჯანმრთელებას ვუსურვებთ, ისე კი, ძალიან გაგვიკვირდება, რომ გავიგოთ, თავდამსხმელების მიზანი ოდენ დაყაჩაღება იყოო.

## ადამიანი მეცნიერების წინააღმდეგ

### 9.72: არსებობს თუ არა ზღვარი?

ამ რამდენიმე თვის წინ გვეწერა, მეცნიერებს გამოუთვლიათ, 50 წლის მერე ადამიანის შესაძლებლობები ზღვარს მიაღწევს და მსოფლიოს რეკორდები აღარ დამყარდებაო.

ამ თეორიის სისწორის თუ სიმცდარის დამტკიცებამდე ჯერ კიდევ 50 წელია — ისტორიისთვსი ძალიან მცირე, ადამიანისთვის კი ძალიან დიდი დრო.

ასეა თუ ისე, მსოფლიო რეკორდები ჯერ კიდევ მყარდება და თითოეული მათგანი განსაცვიფრებელია — მეცნიერება იქით იყოს და, ჩვენ კი გვაფიქრებინებს: აქვს თუ არა, ზღვარი ადამიანის შესაძლებლობებს?

მსოფლიო რეკორდთა შორის — სიმაღლესა თუ სიგრძეში, დროში თუ მანძილზე, მიწაზე თუ წყალში — ყოველთვის გამორჩეული გახლდათ რეკორდი 100 მეტრზე სირბილში. და აი, ახალი მსოფლიო რეკორდიც ამ დისციპლინაში: 9,72 წამი!

ამ რეკორდის მფლობელი კი გახლავთ იამაიკელი სპრინტერი უსამა ბოლტი, ვინაც ეს შედეგი ნიუ იორკის გრან-პრიზე აჩვენა.



9,72 წამი — ავტომობილისტთა ენით, ეს იგივეა რაც 37 კილომეტრი საათში! ეს იგივეა, რაც 10,28 მეტრი წამში! ამ სისწრაფის გასააზრებლად, შეგიძლიათ ექსპერიმენტი ჩაატაროთ: გადათვალეთ 10 მეტრი და წარმოიდგინეთ, რომ ეს მანძილი 1 წამში უნდა დაფაროთ.

ხოლო როდესაც ასეთ რეკორდებზე ვლაპარაკობთ, ეჭვიც გვიჩნდება: აქვს თუ არა ადამიანის შესაძლებლობებს ზღვარი და სინამდვილეში რა იქნება 50 წლის მერე.

საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

## ამხანაგური მატჩი



ზურაბ ხიზანიშვილი ნანის და კვარესმას გაუმკლავდა

ვიზეუ. 31 მაისი. 21.15 საათი. სტადიო ვიზეუ. 8 500 მაყურებელი

### პორტუგალია 2:0 საქართველო

1:0 მუტინიუ (19), 2:0 სიმაო (45პ)

| პორტუგალია | საქართველო |
| --- | --- |
| პორტუგალია: რიკარდუ (კიმი 46), ბოსინგვა (მიგელი 62), რ. კარვალიუ (ბ. ალვეში 46), პეპე (ფ. მეირა 62), პ. ფერეირა, პეტიტი (ველოზო 46), მუტინიუ (უგო ალმეიდა 73), დეკუ (მეირელეში 46), რონალდუ (ნანი 46), სიმაო (კვარესმა 46), ნუნუ გომეში (პოშტიგა 62) | საქართველო: ლორია, ლობჟანიძე, ხიზანიშვილი, ასათიანი, ნავალოვსკი (გ. მერებაშვილი 81), მენთეშაშვილი (სანაია 68), ცქიტიშვილი (კლიმიაშვილი 46), კობიაშვილი (ბ. გოცირიძე 46), ყენია (ბარაბაძე 68), ა. იაშვილი (დევდარიანი 46), ალექსიძე (მუჯირი 38) |
| მწვრთნელი: ლუიშ ფელიპე სკოლარი | მწვრთნელი: პეტარ სეგრტი |

მსაჯები: ლ. მეირი, დ. ნისანი, შ. ეიალი (სამივე ისრაელი); პ. ბაპტიშტა (პორტუგალია)



კრიშტიანუ რონალდუ და უჩა ლობჟანიძე

# არითმია და არითმეტიკა

კობა ინასარიძე

**გულზე** ხელი დავიდოთ და, ვთქვათ, შაბათს ვიზეუში საქართველოს ნაკრებისგან წარმატებას არ ველოდით, მეტიც, ძალიან ბევრი კატასტროფულ მარცხზე ფიქრობდა და ახლა შეგვიძლია, თავი ოდენ იმით დავიმშვიდოთ, ჩვენებმა რალაც საშინელი ანგარიშით რომ არ წააგეს... თუმც, რაღა ნუგეშზეა ლაპარაკი, როცა საქართველოს უპირველესი გუნდის შემხედვარეს, გული ხელით გვიჭირავს და ყველანაირი იმედი გადაწურული გვაქვს?!

...ტელევიზიით პორტუგალია — საქართველოს მატჩის რეპორტაჟს ფეხბურთის ქომაგი, ალბათ, არ გააცდენდა და პერიპეტიებზე ლაპარაკი ახლა ზედმეტი გვგონია, მით უმეტეს, საამმატჩო ამბებს წვრილად რომ მოვყვეთ, მხოლოდ მასპინძელთა გვარების ხსენება მოგვიწევს და, შესაძლოა, კიდევ უფრო გალიზიანდეთ.

ევროპის ჩემპიონატის მოსაგებად გამზადებულ პორტუგალიისა და ბეჩავი ჩვენების თამაშის მომენტ-მომენტ გარჩევას ალბათ სჯობს, ის ვთქვათ, მოუტანა თუ არა ამ შეხვედრამ ქართველებს ხელშესახები პრაქტიკული სარგებელი? ვფიქრობთ, ბევრიც არაფერი!

დავიწყოთ იმით, რომ, როცა პორტუგალიასთან ეს ამხანაგური მატჩი დაინიშნა, საქართველოს ნაკრებს მწვრთნელი ჰყავდა და მან იცოდა, რაში დასჭირდებოდა და როგორ გამოიყენებდა ამ სპარინგს. ის მწვრთნელი მერე წავიდა და დარჩა მატჩი, რომელიც აუცილებლად უნდა ჩატარებულიყო. მიუხედავად იმისა, რომ კლაუს ტოპმიოლერთან კონტრაქტის გაწყვეტიდან პორტუგალიის თამაშამდე ორ თვეზე მეტი იყო, ფეხბურთის ფედერაციამ ვერ შეძლო მწვრთნელის დანიშვნა და ძველი გზით წავიდა — ნაკრები დროებით კაცს ჩააბარა, ვისაც, ვეჭვობთ, წინასწარ დაეგეგმა, რა სარგებელს მოუტანდა ლუიშ ფელიპე სკოლარის გუნდთან გაჯიბრება. ჰოდა, აკი, აბსურდიც გამოვიდა. შთაბეჭდილება დარჩა, რომ ჩვენები ვიზეუში ტყუილად ჩასულიყვნენ, ხოლო მასპინძლებს ხოშიანი ვარჯიში გამოუვიდათ — სკოლარიმ ყველა იმ ფეხბურთელს მისცა თავის გამოჩენის საშუალება, რომელიც გუშინ უკვე ავსტრია-შვეიცარიაში წაიყვანა. ჩვენებს კი...

ერთადერთი, რასაც სასარგებლო შეიძლება ეთქმოდეს, ისაა, რომ ნაკრებში პეტარ სეგრტის ნაწვევმა ყმაწვილკაცებმა მსოფლიო დონის ვარსკვლავებთან თამაშით გამოცდილება მიიღეს და ხვალ იქნება თუ ზეგ, ეგებ ასეთ სახელიან მეტოქეებს სხვა თვალით შეხედონ და როგორც აქამდე ყოფილა, თამაში თამაშამდე აღარ წააგონ. ისე, გამოცდილება ერთია და წაგებულის ფსიქოლოგია — მეორე. კი ბატონო, ამ ბიჭებს გამოცდილება შეემატათ, მაგრამ თამაშიც რომ უშანსოდ წააგეს და ერთი ფიქრი ჰქონდათ, ემანდ, როგორმე მთლად არ შერცხვენილიყვნენ და დიდზე-დიდი ანგარიშით არ დამარცხებულიყვნენ...

თუ დააკვირდით, პირველი ტაიმის ბოლოს კრიშტიანუ რონალდუმ ფლანგზე ბურთიანად მისთვის ჩვეულად წაიცეკვა, ჩვენებიდან კი მას ახლოს ვერავინ გაეკარა. გასაგებია, პორტუგალიელი შემტევი რაკეტასავით სწრაფი და მოქნილია და სჯობს, პოზიციურად ეთამაშო, მაგრამ ჩვენებმა ესეც ვერ გააკეთეს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ შინაგანად შებოჭილები იყვნენ, შიშის ფაქტორი იყო და ამიტომაც რონალდუს ვერავინ გაეკარა. ეს ერთი კონკრეტული ეპიზოდი გავიხსენეთ, თორემ მსგავსი უხერხულობები გუშინწინდელი თამაშისას კიდევ ბევრი შეინიშნებოდა. თუნდაც, პირველი გოლის მომენტი გავიხსენოთ: ჟოაო მუტინიუმ ჩვენების საჯარიმოს ხაზთან ბურთი მშვიდად მიიღო, როგორც სურდა, ისე დაამუშავა, დასარტყმელად გაისწორა, მეტოქისგან კი ხელისშემშლელი ვერავინ ნახა, დარტყმითაც არცთუ ძლიერად დაურტყამს, მაგრამ საწადელს მაინც მიაღწია. ჩვენებმა არც იმ სიტუაციისას იცოდნენ, რა ეკეთებინათ, დაბნეულები იყვნენ. გაიხსენეთ ისიც, საქართველოს ნაკრების ფეხბურთელთა გაოგნებული გამომეტყველება, როცა პორტუგალიელები ჩვენების კარის ხარიხას აზანზარებდნენ ხოლმე... დაბნეულობა, შიში, მორიდება — აი, სულ ეს იყო ვიზეუში საქართველოს ნაკრები და სამივე ეს ფაქტორი მთელი 90 წუთი ლანდივით დაჰყვებოდა ჩვენი ეროვნული გუნდის ყველა თუ არა, უმეტესობა ფეხბურთელს. ასე კი ფეხბურთს ვერ ითამაშებ და, მით უმეტეს, ვერ ითამაშებ გუნდთან, რომელიც ევროპის ჩემპიონობისკენ იწევს.

შიშს რომ დიდი თვალები აქვს, ეს პორტუგალიასთან საქართველოს ნაკრების სახეზეც კარგად აისახა. მაშ, რა ესაქმებოდა ჩვენს ნაკრებს ბობოლებთან?! აგერ, არიან ქართველების კალიბრის გუნდები — ესტონეთი, ლიტვა, ლატვია, კვიპროსი... ჰოდა, ითამაშონ ჩვენებმა მათთან, ერთი-ორჯერ მოიგებენ კიდეც და თუ წააგებენ, ალბათ, ტოლსწორ ბრძოლაში წააგებენ, სასირცხვილო არაფერი იქნება.



პეპემ რატი ალექსიძეს გასაქანი არ მისცა

...ნაკრების დროებითმა მწვრთნელმა პეტარ სერგტმა კი, ეგებ, თქვას კიდეც, ბიჭებმა პორტუგალიასთან მოინდომესო, მაგრამ ამ სიტყვებით ვერც ის მოიგებს და მით უმეტეს, ვერც ჩვენ. ადრე იქნება თუ გვიან, ალბათ, ახალი მწვრთნელიც მოვა, საესტონეთ-საპორტუგალიო შემადგენლობას თავის თარგზე მოჭრის და ტალინსა თუ ვიზეუში ნათამაშევთაგან რამდენიმეს ისევ ახალგაზრდულ თუ სხვა ასაკობრივ ნაკრებებში დააბრუნებს... მაგრამ მერე ამით რა?

ჩვენ კი გული ისევ ხელით გვიჭირავს... რა ვქნათ?!

# ფრთხილი, ჩაკეტილი საქართველო



## სკოლარის პირველი მოეწონა, მეორე არა

**რა** გასაკვირია, რომ ვიზეუს მატჩის შემდეგ პორტუგალიური პრესა ქართველებზე კანტიკუნტად წერს. რა ექართველებათ, როცა ევროპის ჩემპიონატი მოსდგომიათ კარზე და ძალიან იმედიანადაც არიან — მაგალითად, „ო გლობოში“ ისიც წერია, ყველა წეს-კანონით პორტუგალია უნდა გახდეს ჩემპიონიო.

რომელი წეს-კანონია და რომელმა ნოტარიუსმა დაამტკიცა, ვერ გეტყვით, ასე კი წერია: 1996 წელს მეოთხედფინალში წავაგეთ, 2000-ში — ნახევარფინალში, 2004-ში — ფინალში და ხომ ხედავთ, ყოველ მომდევნო ტურნირზე ერთი ნაბიჯით წინ მივიწევთ, ევრო-2008-ზე ჩემპიონობის ჯერია.

ახლა კი პორტუგალიელები ქართველებზე...

„ა ბოლა“: „მეტოქე ძალიან ფრთხილობდა, პირველ ტაიმში თითზე ჩამოსათვლელი შეტევა განახორციელეს. ქართველებს ეტყობოდათ, რომ გუნდურ თამაშზე მეტად ინდივიდუალიზმი უფრო ეხერხებათ. მათ მეკარეს ბევრი შრომა მოუხდა. მეორე ტაიმში პორტუგალიამ ნაკლებად მწვავედ ითამაშა — შესაძლოა, ეს იმის ბრალიც იყო, რომ მატჩი უკვე მოგებული იყო, მაგრამ მეორე ნახევარში შემოსულთაგან ნანისა და კვარესმას გარდა, ვერავინ გაამართლა. აშკარაა, სკოლარი ევროპის ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე მაინც, გუშინდელ ძირითად შემადგენლობას ენდობა“.

„დიარიო ესპორტო“: „როგორც ვიცით, საქართველო თურქეთის ნაკრებს წააგავს სათამაშო სტილით, თუმც არა გვგონია, თურქებიც ასეთივე მოკრძალებულად გვეთამაშონ. პირველ ტაიმში მასპინძლები მთლიანად ფლობდნენ უპირატესობას. შეცვლებმა ცოტა დაშალა გუნდის მექანიზმი და ალბათ ამიტომაც, დროზე გადაწყობა ვერ მოახერხეს. ბრუნო ალვეშის შეცდომას კი შეიძლებოდა, გოლი მოჰყოლოდა, პირისპირ გასულ ბარაბაძეს კიმმა აუღო“.

**ლუიშ ფელიპე სკოლარი:** „კარგი სპარინგ-მატჩი იყო, რამაც ტაქტიკის ვარირების საშუალებაც მომცა. 4-3-3-დან 4-4-2-ზე გადავაწყვე სქემა. საქართველო შემოქმედებით ფეხბურთს არ თამაშობდა, რამაც მრავალფეროვანი შეტევების საშუალება მოგვცა. კმაყოფილი კი ვარ, თუმცა, ეს უფრო პირველ ტაიმს ეხება. მეორე ნახევარში სხვადასხვა კომპონენტების დამუშავებას ვცდილობდით, მაგრამ ამაში, ფეხბურთელების ბურთთან არგანშორების სურვილმა შეგვიშალა ხელი. გარკვეულ ეპიზოდებში ცენტრშიც საკმაოდ სუსტად გამოვიყურებოდით“.

**სიმაო:** „მეტოქე ძალიან ჩაკეტილი თამაშობდა, განსაკუთრებით, პირველ ტაიმში. ამიტომაც დამაგვირგვინებელი დარტყმა, ხშირად ვერ გამოგვდიოდა“.

ჟოაო მუტინიუ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. იგი წლეულს მოხვდა ნაკრებში, ჯერ 21 წლისაა და პორტუგალიური პრესა გუშინდელი გოლისთვის განსაკუთრებით აქებს მას...

„მიხარია, რომ გოლი გავიტანე. მეტოქე არც ისე სუსტი იყო, იოლად რომ მოგვეგო. ქართველები მთლიანად დაცვაზე აწყობდნენ თამაშს, ასეთ დროს კი საჯარიმოში შესვლა ძნელია და შორიდან ვურტყამდით“ — თქვა მუტინიუმ.

**ილია ნანოგაშვილი**

# SOS: მამუკა კვარაცხელია ცემეს და დააყაჩაღეს

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი, ამჟამად უეფას მედია-ოფიცერი მამუკა კვარაცხელია გუშინ დილით, დაახლოებით 4 საათზე, სასტიკად ცემეს. დაზარალებული ამჟამად თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაშია. ექიმების თქმით, მას საშუალო სიმძიმის ტრავმა აქვს.

მამუკა კვარაცხელია აეროპორტში მიდიოდა რუსულ გაზეთ „სპორტ-ექსპრესის“ ჟურნალისტის დასახვედრად. როგორც დაზარალებულის ახლობლები ამბობენ, გზაზე ჯერჯერობით უცნობი ფერისა და ნომრის „ჯიპი“ გადაუდგა, საიდანაც ხუთი ნიღბიანი გადმოვიდა. კვარაცხელია საკუთარი მანქანიდან გადმოიყვანეს, „ჯიპში“ ჩაისვეს და გაუჩინარდნენ. კვარაცხელია დილით ვაშლიჯვრის ტერიტორიაზე გამვლელს უპოვია შეკრული.

კვარაცხელიას ოჯახის წევრების თქმით, მამუკა ნაცემია — მოტეხილი აქვს ხელი და დაზიანებები შეინიშნება სხეულის სხვა ნაწილებზეც.

გამქრალია კვარაცხელიას მანქანა და საბუთები. მომხდარის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც ისანი-სამგორის რაიონის პოლიცია იძიებს.

**ლუკა თალაკვაძე**









# შოთას ძალა

ახლა შოთას დღეებია. ხვალ ამხანაგური გაცილებაც გაიმართება.

ჩემთვის რომ გეკითხათ, ვიტყოდი, ერთი-ორ წელიწადს კიდევ ითამაშოს-მეთქი, რადგან შოთა ყოველთვის ისეთი ფეხბურთელი ჩანდა, თამაშს რომ თავს ძალიან გვიან ანებებს. არა, ასაკი კი აქვს დასანებებელი და თავისი მუხლებისა და კოჭების ამბავიც ჩვენზე უკეთ მოეხსენება, მაგრამ ხომ იცი, არ გინდა და მორჩა.

ჩვენ სად ვნახულობთ შოთას?

ნაკრებში და კიდევ უცხოეთში თუ მოხვდებოდი კაცი სადმე, ანდა გოლებს თუ მოვკრავდით ხოლმე თვალს.

აი, ახლა ამ სვეტს რომ ვწერ, იუთუბში შოთას ალკმაარულ გოლებს ვუყურებ და ვფიქრობ: ამის დედა ვატირე, ხოშიანი ფეხბურთელია — მთელ 15 წელიწადს მინდორზეა და საერთოდ, ერთადერთი ქართველი ფეხბურთელია დღეს, მხოლოდ სახელით რომ მივმართავთ. ხალხი მხოლოდ სახელს ეძახის, ასეთი რამეები კი ტყუილად არ ხდება.

იმ დღეს კრიშტიანუ რონალდუმ თქვა, საქართველოსთან თამაში იოლი არ გეგონოთ, ახლა თამაში ყველამ ისწავლაო. რა თქმა უნდა, თუ ქართველურად არ გაბრაზდებოდა ამის წამკითხავი, გაიცინებდა მაინც. აბა, რონალდუმ რა იცის, რომ ქართველებმა თამაში კი არ ისწავლეს, დაავიწყდათ. შოთა კი იმ თითზე ჩამოსათვლელ ქართველებს შორისაა, რომლებსაც თამაში არათუ დაავიწყდათ, არამედ საუცხოოდ გამოუვიდათ. მან პროფესიულად ითამაშა თავის კლუბებში. ძალიან პროფესიულად. „ტრაბზონი“ უფრო ყმაწვილურ ზღაპარს ჰგავდა, „აიაქსი“ — დიდი თამაშისკენ სწრაფვას, „გლაზგო“ — ბრძოლას და გაუტეხლობას, „ალკმაარი“ კი — ლამაზ დასასრულს.

საერთოდ, ერთი კარგი ფეხბურთელის კარიერა ასეთი უნდა იყოს. კარგი იქნება, თუ ჩვენი ფეხბურთელები ამ მონდომებას, მზადყოფნას და სპორტულობას გადმოიღებენ შოთასგან.

შოთამ თითქმის მთელი კარიერა უცხოეთში გაატარა — ეს კარგი ქართველი ფეხბურთელების ჩვეული გზაა, რომლის ერთ-ერთი დამწყებიც შოთა და არჩილი იყვნენ, მაგრამ ისიც მოგეხსენებათ, რომ საქართველო რთული ქვეყანაა და აქ გადაწყვეტილებების მიღება ძნელია. ისიც ძნელია, მარად დამარცხებული ნაკრების მთავარმეგოლე რომ ხარ. ფეხბურთი სიძნელეების გარეშე ისედაც არ არსებობს, მაგრამ შოთა და საქართველოს ნაკრები, იოლი თემა სულაც არ არის.

მე წაკითხული მაქვს შოთას ჯერაც გამოუქვეყნებელი საფეხბურთო მოგონებები, რომლებიც მან ჟურნალისტ დათო თავართქილაძესთან ერთად დაწერა. თუ არ ვცდები, ეს ამ ტიპის, თანამედროვე საფეხბურთო ბიოგრაფიის პირველი ქართული ნიმუშია. ძალიან საინტერესო წიგნია. ძალიან, მეტი რომ არ ვთქვათ. ახლა საოცარი ეპიზოდები მახსენდება იქიდან: ჩემპიონობადაკარგული „ტრაბზონსპორის“ ამბავი, დათო ყიფიანის სანადირო თოფი, ნაკრების ისტორიები... ეს ჯერაც გამოუქვეყნებელი წიგნი ახლა, მგონი, იმიტომ გამახსენდა, რომ ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით ჩვენი საუკეთესო ფეხბურთელების ცხოვრებისა და თამაშის შესახებ. ისინი ხომ უცხოეთში არიან.

ხვალ კი, მიუხედავად გამოსათხოვარი ნაღველისა, ხალისიანი დღე იქნება. შოთა იმას მოახერხებს, რომ ხვალ ნამდვილი და ლაღი იყოს სტადიონზე.

მგონია, რომ ის სამწვრთნელო კაცია, სად, როგორ და რანაირად, არ ვიცი, მაგრამ ეს ცხადად ჩანს. თუ, რა თქმა უნდა, თვითონ მოუნდება.

შოთას გზა გრძელი გზა იყო. ბევრი ქართველი მოთამაშისგან განსხვავებით, ამ გზაზე მიმავალმა, ფეხბურთის და ნიჭის ხარჯზე, საკუთარ თავს შეღავათი არ მისცა.

მგონი, ეს არის შოთას მთავარი საფეხბურთო ძალა.



# შეიძლება წავიდე, შეიძლება დავრჩე

## ლევან მჭედლიძე: წაგება ყოველთვის გულდასაწყვეტია

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და იტალიური „ემპოლის“ თავდამსხმელი ლევან მჭედლიძე თბილისშია — ოპერაციის შემდეგ ინდივიდუალურად ვარჯიშობს. მჭედლიძემ 9 მაისს გაიკეთა მენისკის ოპერაცია და მალე სრული დატვირთვით ვარჯიშიც შეეძლება. ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ მოთამაშეს გუშინ შევეხმიანეთ და პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ჯანმრთელობის ამბები გამოვკითხეთ...

— ახლა ტრენაჟორებზე ვარ, ნაოპერაციებ ფეხს ვავარჯიშებ. ყველაფერი კარგად მიდის და იმედი მაქვს, მალე სრული დატვირთვით ვარჯიშს შევძლებ. ყოველ შემთხვევაში, სარეაბილიტაციო პერიოდი კარგად მიდის.

**— რომელ ფეხზე გაიკეთე ოპერაცია?**

— მარცხენაზე. თუ გახსოვთ, ადრეც ამ ფეხზე დამჭირდა ოპერაცია და ეტყობა, რაღაც მიზეზი კიდევ იყო დარჩენილი.

**— ექიმები რას გეუბნებიან, როდის შეგეძლება დატვირთვების მიღება?**

— ალბათ, ერთ კვირაში.

**— გამოდის, შოთა არველაძის ფეხბურთიდან გასაცილებელ მატჩშიც ვერ ითამაშებ...**

— სამწუხაროდ, ვერა. არადა, ძალიან მინდოდა. შოთამ დამპატიჟა და სიამოვნებით მოვდიოდი, მაგრამ... ახლა ბოდიშების მოხდა დამჭირდა...

**— იტალიაში როდის დაბრუნდები?**

— დაახლოებით თვენახევარში უნდა ჩავიდე.

**— „ემპოლიში“ დარჩენა გადაწყვიტე?**

— არ ვიცი, ჯერ ვერაფერს გეტყვი. რომ ჩავალ, მერე უფრო მეცოდინება ყველაფერი. შეიძლება წავიდე, შეიძლება დავრჩე...

**— გული დაგწყდებოდა, „ემპოლი“ რომ სერია A-დან გავარდა...**

— ცხადია, მაგრამ ბოლო ტურებში უკვე იგრძნობოდა, რომ ასე მოხდებოდა. ახლა ველარაფერს შევცვლით, ჩავალ იტალიაში, კლუბის ხელმძღვანელობას და მწვრთნელს დაველაპარაკები და ერთად გადავწყვეტთ, რა და როგორ გავაკეთოთ.

**— როდემდე გაქვს კლუბთან კონტრაქტი?**

— 2010 წლამდე. თუმცა თუ სერიოზული წინადადება იქნა, კლუბი არ გამაწვალებს. მათაც ურჩევნიათ, გამყიდონ და ჩემში ფული აიღონ, მით უმეტეს, სერია A-ში აღარ არიან და...

**— საქართველოს ნაკრების თამაშს ნახავდი...**

— ვნახე და რა კომენტარი უნდა გავაკეთო, არ ვიცი... სამწუხაროა, რომ წავაგეთ... პორტუგალია კი არა, ბრაზილიას რომ ეთამაშებოდე, წაგება ყოველთვის გულდასაწყვეტია. მე მაინც მჯერა, რომ საქართველოს ნაკრებს პოტენციალი აქვს და ამას მომავალ შესარჩევში დავამტკიცებთ. ყოველ შემთხვევაში, მომავალ მატჩებს იმედიანად ველოდები...

**— ანუ გჯერა, რომ საქართველოს ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში კარგი შედეგის მიღწევა შეუძლია?**

— აუცილებლად. მე ფეხბურთელი ვარ და სხვანაირად ფიქრი არც შემფერის. ყოველთვის უნდა გჯეროდეს, რომ წინსვლა შეგიძლია, სხვანაირად ვერაფერს მიაღწევ...

**ბაჩა შალამბერიძე**

# გახოკიძე მენეჯერულ გზაზე... პატარა ხარლამოვი ტვენტეში

გოგა გახოკიძე ერთ-ერთია, 3 ივნისს შოთა არველაძის ბენეფის-მატჩში რომ ითამაშებს. გაუთავებელი ტრავმები რომ არა, გოგა 3-ში ვეტერანის კი არა, მოქმედი ფეხბურთელის რანგში იბურთავებდა. გეცოდინებათ, საქართველოს ნაკრების ყოფილმა მარცხენაფლანგელმა წელიწადნახევრის წინ დაასრულა კარიერა და ფეხბურთში საქმიანობას აპირებს, პირველი ნაბიჯიც უკვე გადადგა — მენეჯერობა. შოთას გაცილების მატჩი, მენეჯერული პერსპექტივა, საქართველოს ეროვნული ნაკრების ბოლო ორი შეხვედრა და მოახლოებული ევროპის ჩემპიონატი — გახოკიძეს ამ თემებზე ველაპარაკეთ...



**— როგორი გრძნობაა, რომ იმ ფეხბურთელის გაცილების მატჩში უნდა ითამაშო, რომელთან ერთადაც წლების მანძილზე ეროვნულ გუნდში იყავი?**

— 3 ივნისს მინდორზე ყველაზე მოწყენილი შოთა იქნება, მისთვის მართლაც ძნელი მატჩია და თან საამაყოც. კარიერის დასრულებას ვერავინ გაექცევა. მეც კარგად ვიცი, ეს რა საშინელი გრძნობაა...

**— შოთა მწვრთნელად როგორ წარმოგიდგენია?**

— მას ისეთ სპეციალისტებთან უმუშავია, როგორებიც ლუის ვან გაალი, მორტენ ოლსენი და სხვები იყვნენ. მათგან შოთა ბევრს შეიძენდა. იმედი მაქვს, როგორც წარმატებული ფეხბურთელი იყო, ასეთივე იქნება მწვრთნელობაშიც.

**— შენც ხომ არ აპირებ მწვრთნელობას?**

— არა. რასაც მე ვუყურე, რა დღეში იყვნენ მწვრთნელები... ჯერ სასწაული ნერვები გინდა, რომ ყველა ფეხბურთელს ესმოდეს შენი... ყველას სხვადასხვა აზრი აქვს და უნდა იცოდე, ვისთან როგორი მიდგომა გქონდეს: ერიკ გერეტსის მაგალითი თვალწინ მაქვს: კარგი მწვრთნელია, მაგრამ პსვ-დან იმიტომ გაუშვეს, რომ ფეხბურთელებთან ვერ ჰქონდა კარგი ურთიერთობა. მოკლედ, მწვრთნელობა არა, მაგრამ ფეხბურთში აქტიურად დავსაქმდები — მენეჯერობას ვაპირებ. აგერ, ერთი ფეხბურთელი, 15 წლის გიგა ხარლამოვი (საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებშია) „ტვენტეში“ ჩემი მეშვეობით მოხვდა. ის ძალიან მზარდი, პერსპექტიული ბიჭია, ნახევარდაცვის ორივე ფლანგზე და უკანდაწეულ ფორვარდად შეუძლია თამაში. ხარლამოვი ადრე იყო ჩასული „ტვენტეში“, ნახეს, მოეწონათ და მეორედ დაიბარეს. ახლა იქაა და საერთაშორისო ტურნირზეც ითამაშებს, სადაც „ტვენტეს“ გარდა, „მანჩესტერ იუნაიტედი“, „რეალი“ და სხვები იქნებიან. გიგა აქამდე „ოლიმპის“ აკადემიაში იყო.

**— ესე იგი, პირველი ნაბიჯები უკვე გადაგიდგამს მენეჯერობაში...**

— ასეა. ეს საქმე იმიტომაც მიზიდავს, რომ ვიცი, რამხელა განსხვავებაა აქაურ და უცხოურ პირობებში. საქართველოში ნიჭიერი ბავშვები არ გამოილევიან, მაგრამ 16-17 წლის რომ ხდებიან, უკან-უკან მიდიან, რადგან მინდორი არ არის, პირობები არ არის... რაც უფრო მეტი ბავშვი წავა უცხოეთში 14-15 წლის ასაკში, მით უმეტეს, ჰოლანდიის დარ ქვეყნებში, მით უკეთესი ქართული ფეხბურთისთვის.

**— 3 ივნისის თამაშზე ერთსაც გკითხავ. შოთას უცხოელი მეგობრებიდან ვის იცნობ?**

— არტურ ნუმანს. ის „პსვ ეინდჰოვენში“ თამაშობდა ჩემთან ერთად.

**— პორტუგალია — საქართველოს მატჩს ნახავდი. ჩვენი ნაკრების თამაშში რა მოგეწონა და რა არა?**

— იბრძოლეს, ამაზე ორი აზრი არ არის. განსაკუთრებით მეორე ტაიმში ჩანდა შემართება. პორტუგალია მსოფლიოს ერთ-ერთი გრანდია და მასთან მხოლოდ ბრძოლისუნარიანობით ფონს ვერ გახვალ. სიმართლე გითხრათ, უარეს ანგარიშს ველოდი და კარგია, რომ ორ ბურთზე მეტი არ გაუშვეს.

**— ეროვნულ ნაკრებში ბევრი ახალგაზრდაა. რას იტყვი მათზე, რამდენად მზად არიან მაღალ დონეზე სათამაშოდ და თუ ჯერ არ არიან, მალე მიაღწევენ ამ დონეს?**

— კარგი ახალგაზრდები გვყავს, რომლებსაც დრო სჭირდებათ და იმედია, სწრაფი წინსვლა ექნებათ. ლევან ყენიას ყოჩაღობას უკვე შევეჩვიეთ და კიდევ ძალიან მომწონს ბექა გოცირიძე.

**— ერთიც, მოახლოებულ ევროპის ჩემპიონატზე გკითხავ: ვის მიიჩნევ ფავორიტად?**

— ჩემპიონი ვინ გახდება, ამის თქმა ძნელია. ისე კი, იტალიას, პორტუგალიას, საფრანგეთს და გერმანიას აქვთ ყველაზე დიდი შანსი. ამ ოთხეულს გამოვარჩევდი.

**ილია ნანოზაშვილი**

# ზურაბ ხიზანიშვილი ბლექბერნიდან არ მიდის

**საქართველოს** ეროვნული ნაკრებისა და ინგლისური „ბლექბერნის“ მცველი ზურაბ ხიზანიშვილი კლუბის შეცვლას არ აპირებს და ბრიტანულ გამოცემებთან საუბარში აცხადებს, რომ გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილის დასაბრუნებლად ძალას არ დაიშურებს...

„შვებულების პერიოდში კარგად დავისვენებ, რათა შემდეგ ძირითად შემადგენლობაში ადგილისთვის ვიბრძოლო. სხვადასხვა პოზიციაზე თამაში შემიძლია, რაც შეუძლებელია, მწვრთნელს ყურადღების მიღმა დარჩეს და იმედია, შანსი მექნება“ — თქვა 26 წლის ქართველმა ფეხბურთელმა, რომელიც „ბლექბერნში“ 2005 წელს გადავიდა და კონტრაქტი 2011 წლამდე აქვს.

**ბაჩა შალამბერიძე**

# ზესტაფონმა ტრიბუნიდან დაიწყო

**წლეულს** საქართველოს თასს „ზესტაფონი“ დაეუფლა და უეფას თასის საგზურიც ერგო. იმერლებს უეფას სტანდარტების სტადიონი არ აქვთ, ამიტომ რამდენიმე თვის წინ განუცხადეს უეფას, რომ მეტოქეს თბილისურ „მიხეილ მესხზე“ უმასპინძლებდნენ, თუმც მერე კლუბის ხელმძღვანელებმა უეფას თხოვნით მიმართეს, რომ გამონაკლისი დაუშვან, თუ, რა თქმა უნდა, სტადიონს მოაწესრიგებენ.

ათიოდ დღის წინ სფფ-ის ლიცენზირების მენეჯერმა ბაქარ ჟორდანიამ მოინახულა ზესტაფონის სტადიონი. მისი თქმით, პრობლემების მოგვარება შესაძლებელია, რაც ეცნობა კიდეც უეფას. როგორც ჟორდანია ამბობს, შესაძლოა, უეფამ გამონაკლისი დაუშვას და ზესტაფონელებიც საქმეს შეუდგნენ — ხის სკამები უკვე აყრილია და რამდენიმე დღეში აქტიური სამუშაო პროცესი დაიწყება.

უეფა საბოლოო პასუხს ივნისის ბოლომდე იტყვის.

გუნდი კი ახლა შვებულებაშია, თემურ მახარაძე „ზესტაფონს“ 5 ივნისს ბაკურიანში წაიყვანს პირველ შეკრებაზე.

სავარაუდოდ, იმერლები რამდენიმე ფეხბურთელით გაძლიერდებიან. ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ ბოლნისის „სიონის“ მცველი ბოიომო ფრიდოლინი კარიერას „ზესტაფონში“ გააგრძელებს, თუმც ამას ჯერ ზესტაფონელები არ ადასტურებენ.

**ნუგზარ ლოლაძე**

„დინამო თბილისის“ საფეხბურთო აკადემია 7-8 ივნისს 11.00-12.00 საათებზე დიღმის საწვრთნელ ბაზაზე აცხადებს 1992-1995 წლებში დაბადებულ ბავშვთა შერჩევას.
საკონტაქტო ტელეფონის ნომრებია: 52-20-76, 877 49-55-04, 893 28-51-07, 899 26-30-01

# ყველაზე სწრაფი უსაინ ბოლტი




**ასაფა პაუელი,** ტაისონ გაი და... მათთან ერთად უსაინ ბოლტი — მსოფლიოს საუკეთესო სპრინტერი უკვე ამ სამეულში უნდა ვეძებოთ და დღეიდან ბოლტი ტრიოს აბსოლუტურად სრულფასოვანი წევრია, რადგან ის მსოფლიოს რეკორდსმენი გახლავთ 100 მეტრზე სირბილში.

მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა მისი სირბილი, მეტეორის გაელვებას, ჰეპარდის გაჭრას, ქორის დაცემას... მოკლედ, რაც გინდათ, ის აირჩიეთ — 21 წლის იამაიკელი მსოფლიოს ყველაზე სწრაფი ადამიანია. ყოველ შემთხვევაში, მისია ყველა დროის საუკეთესო შედეგი.

პარასკევს ნიუ იორკის გრან პრიზე 21 წლის იამაიკელმა სპრინტერმა 100 მეტრი 9,72 წამში გაირბინა და 0.02 წამი ჩამოაჭრა შარშან სექტემბერში მისი უფროსი თანამემამულის ასაფა პაუელის ძველ მსოფლიო რეკორდს.

ოსაკას მსოფლიოს ჩემპიონატზე ტაისონ გაისთან დამარცხებით გამგელებულმა რეკორდსმენმა ასაფა პაუელმა ორ კვირაში ახალი რეკორდი დაამყარა — 9,74 და უძლიერესი სპრინტერის წოდება უკუიპყრო, მაგრამ აგერ ყმაწვილმა ბოლტმა ისიც დაჩრდილა და გაიც. ამ უკანასკნელს ნიუ იორკში იგი პირადად ეჯიბრებოდა და მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელმა მსოფლიოს ჩემპიონმა ძალზე სწრაფად ირბინა და პირად რეკორდამდე სულ რაღაც 0,01 წამი დააკლდა, ის მაინც ბარე ორი მეტრით ჩამორჩა გრიგალივით სწრაფი იამაიკელს.

გინდ ასე განსაჯეთ, გინდ ისე, მაგრამ სამძლეოსნო სამყაროში ბოლტის გაელვარება გასაკვირი არ იყო: მან ჯერ კიდევ ამ თვის დასაწყისში დაალებინა პირი ხალხს, როცა პაუელის ექსრეკორდი, 9,76 გაიმეორა და მას შემდეგ სულ გაიძახოდა, ეს არ იყო შემთხვევითობა, 9.70 წამზე ქვევითაც შემიძლია ჩამოსვლაო. ძალიან ქვევით კი ჩამოვიდა!

ახლა კი ზორბა იამაიკელი სხვა მწვერვალებზეც სერიოზულად დაფიქრდა — „მსოფლიო რეკორდი არაფერია, თუ მსოფლიოს ჩემპიონი არ გახდი. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ოლიმპიადის მოგებაა. ვფიქრობ, წლეულს მე პეკინში ცუდი შანსები არ უნდა მქონდეს“.

**ვანო ძოძიაშვილი**



## სტენლის თასი ფინალი

მეოთხე მატჩი

პიტსბურგი 1:2 დეტროიტი

1:1 0:0 0:1

*სერია დეტროიტს მიჰყავს 3:1*

1:0 ჰოსა (3, უმრ. გონჩარი, კროსბი), 1:1 ლიდსტრომი (8, რაფალსკი, დაციუკი), 1:2 გუდლერი (43, ფელმი, სტიუარტი)

# ნადირობა პინგვინებზე

**მათ** გუშინ „იგლუ“ დაადუმეს. ახლა კი მშობლიურ „ჰოკითაუნში“ ტრიუმფის მოსაწყობად ემზადებიან.

დიახ, გუშინ „დეტროიტმა“ პიტსბურგში იმარჯვა, სერიაში 3:1 დაწინაურდა და შანსი აქვს, საკლუბო ჰოკეის უპრესტიჟულესი ჯილდო ბოლო 11 წელიწადში მეოთხედ მოიგოს. „წითელფრთიანებს“ ერთი გამარჯვებაღა აშორებთ თავის ისტორიაში რიგით მე-11 სტენლის თასის მოგებამდე.

„დეტროიტმა“ ისევ კარგად გამართული დაცვისა და თითქმის უნაკლო თამაშის წყალობით იმარჯვა და შეძლო ის, რაც წლევანდელ პლეი ოფში ვერავის მოეხერხებინა — კერძოდ, „პინგვინები“ საკუთარ ყინულზე დაამარცხა. ანტარქტიდის ბინადრებმა მშობლიური „იგლუ“ მართლაც მიუვალ ციხესიმაგრედ აქციეს, რისი წყალობითაც ფინალამდე ყველა მილეწ-მოლეწეს და ზედიზედ 8 შეხვედრა მოიგეს. მეტიც, „პიტსბურგს“ სახლში 24 თებერვლის შემდეგ არ წაეგო, მაგრამ „დეტროიტი“ ამ ჯადოსაც მოერია.

მიჩიგანური გუნდის ვეტერანებმა მინიმუმადე დაიყვანეს ის შეცდომები, რის გამოც წინა შეხვედრა დათმეს და მთლიანად ჩახუთ-ჩახერგეს თავის კარისკენ მიმავალი გზები. „დეტროიტმა“ ისევ პირწმინდად ამოკეტა სიდნი კროსბი, რომელიც ამ შეხვედრაში მხოლოდ იმით თუ გამოირჩა, რომ ნამატჩევს ჰენრიკ ზეტერბერგს წაეკინკლავა — თუმც შვედმა, რომელსაც ევალებოდა კიდეც „პატარა სიდის“ გაკავება, მხოლოდ დამცინავი ღიმილით უპასუხა მეტოქის გაანჩხლებას.

არადა, პირველი შაიბა „პიტსბურგმა“ გაიტანა, როცა მარიან ჰოსამ ახლო ბრძოლაში აჯობა კრის ოზგუდს. „პინგვინებისთვის“ კი დაწინაურებას ლამის საკრალური მნიშვნელობა აქვს — მიმდინარე პლე ოფში მათ 11-ჯერ გაიტანეს პირველი შაიბა და შემდეგ ყველა შეხვედრა მოიგეს. თუმც „დეტროიტელი“ ვეტერანები ვერც ამან შეაშინა და მალე საპასუხო კაპიტანმა ნიკლას ლიდსტრომმა გაისროლა, რომლისთვისაც ეს პლეი ოფებში გატანილი 42-ე შაიბა აღმოჩნდა. შვედმა ამ მაჩვენებლით დიდ რეი ბურკს გადაასწრო და სათასო მატჩებში ყველაზე შედეგიან მცველთა შორის მესამე ადგილზე აინაცვლა.

ამის შემდეგ თანაბარი თამაში გაჩაღდა, რომელიც მომხვდურებს უფრო აძლევდათ ხელს, რადგანაც ისინი აქა-იქ მაინც ქმნიდნენ მომენტებს, მაშინ როცა „პიტსბურგი“ მეტოქის დაცვაში იკარგებოდა. ძალთა ეს თანაფარდობა მესამე პერიოდის მესამე წუთზე დაირღვა, როცა „დეტროიტს“ მოულოდნელი გმირი გამოუჩნა ირჟი ჰუდლერის სახით, რომელმაც ძალიან უხერხული პოციიდან დაარტყა და მარკ-ანდრე ფლერის შეცდომის შემდეგ გაიტანა კიდეც. ეს ახალგაზრდა ჩეხი საერთოდ ცალკე სასაუბრო თემაა — დაბალი სიმაღლისა (168 სმ) და არცთუ მაღალი სისწრაფის გამო მასზე ამბობდნენ ნჰლ-ში ფეხის მოკიდებას ვერ შეძლებსო. მაგრამ ბებკოკმა ამ ჰოკეისტისთვისაც გამონახა ადგილი შემადგენლობაში და ჰუდლერიც ძალიან სოლიდური თამაშით ამტკიცებს, რომ ტყუილად არ [illegible] ან (მის ანგარიშზე უკვე 5 შაიბაა[illegible]

„პიტსბურგს“ მაინც მიეცა ანგარიშის გათანაბრების დიდებული შესაძლებლობა, როცა მესამე პერიოდის შუაწელზე თითქმის წუთნახევარი ორკაციანი უპირატესობით (5:3-ზე) თამაშობდა. თუმც ზეტერბერგის საოცარი თამაშის წყალობით „დეტროიტმა“ შეძლო ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლა და ამის შემდეგ მასპინძლებს მომენტიც კი აღარ შეუქმნიათ.

„პინგვინები“ კი ახლა თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში არიან, რადგანაც მათ შეცდომის დაშვების უფლება აღარ აქვთ და ამიერიდან სამივე შეხვედრა უნდა მოიგონ — აქედან ორი დეტროიტში, სადაც ჯერ კინკილა გოლიც კი ვერ გაუტანიათ. ხოლო იმ პირობებში, როცა გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ევგენი მალკინი მშრალზეა დარჩენილი (გოლს ვინ ჩივის, ფინალურ სერიაში საგოლე პასიც კი არ გაუკეთებია), ძნელი წარმოსადგენია, რომ ანტარქტიდის ბინადრებმა ამ ორმოდან ამოძრომა მოახერხონ.

ისტორიაც მათ წინააღმდეგაა — სტენლის თასის ფინალებში მხოლოდ ერთმა გუნდმა შეძლო 3:1-დან სერიის შემოტრიალება და ისიც შორეულ 1942 წელს მოხდა. თან შთაბეჭდილება იქმნება, რომ ამის უკვე თავად „პიტსბურგის“ მოთამაშეებსაც ნაკლებად სჯერათ — აკი გუშინდელი მატჩის წინ პეტრ სიკორას წამოცდა კიდეც, თუ ანგარიშში არ გავათანაბრეთ, არაფრის შანსი აღარ გვექნებაო.

**ბაჩა ლომაშვილი**

დეტროიტელი დანიელ კლირი „პიტსბურგის“ მეკარე მარკ-ანდრე ფლერის მიუხტა




AMERITECH-ის აქცია
ევრო 2008 JVC-თან ერთად!




აქცია 1 ივნისიდან 1 ივლისამდე

შეიძინე ტექნიკა Ameritech-ის მაღაზიათა ქსელში, დააგროვე გოლები და გახდი უპრეცედენტო აქციის „ევრო 2008 JVC-თან ერთად“ მონაწილე!

I ეტაპი — ყველა ვინც შეიძენს ტექნიკას Ameritech-ის მაღაზიათა ქსელში მიიღებს მომენტალურ საჩუქარს – ექსკლუზიურ მაისურს ევრო 2008-ის და JVC-ის სიმბოლიკით.

II ეტაპი — დააგროვე 1500 გოლი – ამოირჩიე და მიიღე მაღაზიაში შემოთავაზებული 10-ზე მეტი დასახელების საჩუქრიდან ერთ-ერთი.

III ეტაპი — დააგროვე 2500 გოლი – მიიღე 2 კაციანი აბონიმენტი ელიტარული სპორტ კაფეში ევრო 2008-ის ნახევარფინალური 2 მატჩისა და ფინალური მატჩის საყურებლად დიდ ეკრანზე.

აბონიმენტში შედის მენიუ. აბონიმენტი გაიცემა 1-დან 23 ივნისამდე!!!

1 ლარი = 1 გოლი

ამერიტექის მაღაზიათა ქსელი:
აღმაშენებლის ხეივანი 1/1, ტელ.: 51 73 88;
ვაჟა-ფშაველას გამზ. 39, ტელ.: 391095;
თამარ მეფის გამზ. 5, ტელ.: 943054;
სერვის ცენტრი: ისპირიანის 13/15, ტელ.: 31 32 52

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა. მეოთხე წრე

**აკადემია 10:8 აია**
აკადემია: 1 ლ: ქოპილაშვილი; 1 გ: ხუ-ხუნეიშვილი; 1ს: ხუხუნეიშვილი
აია: 1ლ: გოგლიჩიძე; 1ს: სინაურიძე

**ყოჩები 32:9 უნივერსიტეტი**
ყოჩები: 4ლ: გ. კაჭარავა, შეყლაშვილი, გეგენავა; 3 გ: გაბუნია; 2 ს: გაბუნია
უნივერსიტეტი: 3ს: ბაირამაშვილი

**ლოკომოტივი 31:5 ლელო**
ლოკომოტივი: 5ლ: ზარიძე, ზ. მაისურაძე, ახვლედიანი, გ. კობერიძე, ბ. წიკლაური; 3გ: კვინიხიძე
ლელო: 1ლ: ახალაია

**არმაზი 15:14 დინამო**
არმაზი: 2ლ: ცირეკიძე საჯარიმო; 1გ: ძნელაძე; 1ს: ძნელაძე
დინამო: 2ლ: ავლოხაშვილი, მირცხულავა; 2გ: ღირსიაშვილი

# ლელომ რკინიგზით ლელოები მიიღო

**საქართველოს** ჩემპიონატის მეოთხე ტური, რომელიც შაბათს ერთ დღეში ჩათამაშდა, წინა სამი ტურისგან ვერაფრით გამოირჩა, თუმც „ლოკომოტივი“ — „ლელოს“ შეხლა მაინც უნდა გამოვარჩიოთ, რომელიც რკინიგზელებმა დიდი სხვაობით მოიგეს. არადა, „ლელო“ შარშანდელი ჩემპიონატის ფინალისტია და იქამდე ნახევარფინალშიც ულაპარაკოდ მოუგო „ლოკომოტივს“.

გასულ უქმეებზე სოპოტში გამართული შვიდკაცა რაგბის ევროეტაპის გამო „ლოკომოტივი“ — „ყოჩების“ მატჩი რომ გადაიდო, ორივე გუნდზე კარგად იმოქმედა. დასვენებულ რკინიგზელებსაც და „ყოჩებსაც“ შვიდკაცა ნაკრებში მივლინებული ფეხჩუბინი მორაგბეები დაუბრუნდნენ და მათაც ბდღვირი ადინეს მეტოქეებს.

თავში ვთქვით, რომ გამოსარჩევი „ლოკომოტივი“ — „ლელოს“ შეხლა იყო, რომელსაც ტურის მთავარ მატჩობაზეც ექნებოდა პრეტენზია, რომ არა რკინიგზელთა ულაპარაკო გამარჯვება. „ლელომ“ ვერაფერი დაუპირისპირა შერკინებით ტრადიციულად ძლიერ მეტოქეს. ვერც ლელოელმა უკანახაზელებმა იჩუბინეს სათანადოდ და შედეგად, მეტოქისგან ხუთი ლელო მიიღეს.

ოთხი ლელო გაუტანა „ყოჩებმა“ უნივრსიტეტს და სატურნირო ცხრილში ერთი საფეხურით დაწინაურდა. ისე, „ყოჩების“ შემადგელობას და მადას თუ გავითვალისწინებთ, მომდევნო ტურებში საპლეიოფო ოთხეულში მათ შესვლას უნდა ველოდოთ, მით უმეტეს, შარშანდელ ჩემპიონებს ორი მატჩი აქვთ „შემონახული“.

წლეულს პირველად მოიგო „არმაზმა“, რომელმაც უშუალო კონკურენტ „დინამოს“ აჯობა და ბოლო ადგილი ბოლოსწინა საფეხურში გაუცვალა.

უმაღლესი ლიგის ერთადერთი არადედაქალაქური კლუბი ქუთაისის „აია“ კი ისევ საპლეიოფო ოთხეულში ტრიალებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტურში ვერაფერი მოუხერხა „აკადემიას“. ისე, იმერლებს წლეულს დიდი მიზნები აქვთ და დიდი შანსია, თბილისური კლუბების საპლეიოფო ჰეგემონია დაარღვიონ.

**ბაჩო სვანიძე**

სატურნირო ვითარება

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლელო | 4 | 0 | 1 | 74:86 | 7 |
| უნივერსიტეტი | 3 | 1 | 1 | 85:89 | 7 |
| ლოკომოტივი | 3 | 0 | 0 | 98:32 | 6 |
| აია | 2 | 1 | 2 | 84:81 | 5 |
| ყოჩები | 2 | 0 | 1 | 67:34 | 4 |
| აკადემია | 2 | 0 | 3 | 80:91 | 4 |
| არმაზი | 1 | 0 | 4 | 61:94 | 2 |
| დინამო | 0 | 0 | 5 | 81:118 | 0 |

# დალალიოს კარიერაც დაილია
## სხვათა ამტირებელი ცრემლებით წავიდა



**მორჩა**, წავედი... ამ სიტყვებს რომ ვამბობ, ყელში რაღაც ბურთივით მაწვება და მახრჩობს, ცრემლებს ძლივს ვიკავებ... — ეს სიტყვები ინგლისის ნაკრებისა და მსოფლიო რაგბის ერთ-ერთმა ლეგენდამ, ლოურენს დალალიომ, „ვოფსი“ — „ლესტერის“ ფინალის შემდეგ ძლივს ამოღერღა, მერე კი ემოციებს მაინც ვერ მოერია და ჟურნალისტების თვალწინ, ეს დევკაცი, პატარ ბიჭივით აქვითინდა.

სად გინახავთ აქვითინებული დალალიო? კვირის ფინალამდე, რომელშიც მისმა „ვოფსმა“ 26:16 დაამარცხა „ლესტერი“, ასეთი რამ არ მომხდარა. აი, დალალიოს რკინისებურ მუშტებს კი ბევრი მეტოქე დაულილავებია და ბევრიც აუტირებია.

მისი ცხოვრება და კარიერა ამერიკულ ატრაქციონს ჰგავდა. აღმასვლას სწრაფი დაღმასვლა მოჰყვებოდა და ასე, დაუსრულებლად.

2001 წელს იტალიური წარმოშობის დალალიო ინგლისის ნაკრების კაპიტნად აირჩიეს, რამდენიმე თვეში კი კოკაინის ყნოსვაში გამოიჭირეს და ყოჩობა ჩამოართვეს. დალალიომ რამდენიმე კვირა ციხეშიც გაატარა, იქიდან გამოსული კი რამდენიმე დღეში კინაღამ უკან შეაბრუნეს. ამჯერად ტემპერამენტიანმა მორკინალმა თავისი ბრგე მუშტები ლონდონელ მეძავეებს დააყარა, რომლებიც ლოურენსს, რაც ეკუთვნოდათ, იმაზე მეტ ფულს სძალავდნენ.

დალალიოს თავდებად მისი ძმაკაცები — მარტინ ჯონსონი და ბენ კეი დაუდგნენ. ნაკრების მაშინდელმა მწვრთნელმა კლაივ ვუდვორდმა შარიანი გოლიათი „ვარდებშიც“ დააბრუნა. კინაღამ დაგვავიწყდა, ამ დროში დალალიომ მუხლზე მძიმე ოპერაციის გაკეთებაც მოასწრო და ფეხზე დადგომაც. „საოცარია, მისი მუხლი მოზაიკის ნამცეცებივით იყო დაშლილი, მან კი ფეხზე დადგომა და თამაში შეძლო“ — ეს მისი ქირურგის სიტყვებია.

2003 წელს დალალიო იმ „ოცნების გუნდის“ ხერხემალი იყო, მსოფლიოს თასი ჯლიგინ-ჯლიგინით რომ მოიგო. თვითონ კი, როგორც ყოველთვის, უმოწყალოდ არბევდა მეტოქეებს.

მსოფლიოს თასის შემდეგ ინგლისის ნაკრებიდან ბევრი ასაკშეპარული მორაგბე წავიდა, მათ შორის, კაპიტანი მარტინ ჯონსონიც, მაგრამ დალალიო რის დალალიო იქნებოდა, ცხოვრების გამოწვევა კიდევ ერთხელ არ მიეღო და ნაკრებში ადგილისთვის კბილებით არ ებრძოლა.

ვუდვორდის შემდეგ „ვარდები“ ბრაიან ეშტონმა ჩაიბარა, რომელზეც ამბობდნენ, ავტორიტეტების ეშინია, მით უმეტეს, დალალიოსი და გუნდის წმენდას მისით დაიწყებსო. ეშტონმა სახალხოდ თქვა, დალალიო შფოთისთავია და გუნდში ვითარებას ამღვრევსო, თუმც მწვრთნელს არავინ გამოექომაგა და ისიც იძულებული გახდა, შარიანი გოლიათი შარშანდელ მსოფლიოს თასზე წაეყვანა. როგორ ფიქრობთ, 35 წლის დალალიო ჯეელებზე ნაკლებს აკეთებდა? პირიქით, ჯადო ჯონი უილკინსონმა და დალალიოს არაადამაიანურმა ძალამ და რკინის მუხლებმა მიიყვანეს ინგლისი ფინალამდე, ფინალში კი ძალამ ალმართი ველარ მოხნა...

36 წლისამ კი აგერ სარაგბო კარიერა დაასრულა. დალალიო 12 წლის მანძილზე ემსახურა ინგლისის ნაკრებს. გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, ვიცე-ჩემპიონი. საკლუბო დონეზე მხოლოდ ერთ კლუბს, ლონდონის „ვოფსს“ უერთგულა და 18 წლის მანძილზე 339 მატჩში შეაშველა თავისი ჯანი. დალალიომ შვიდჯერ მოაგებინა „ვოფსს“ ინგლისის ჩემპიონატი, ორჯერ პრემიერშიპის დიდი ფინალები მოიგო, ორჯერ კი ევროპული საკლუბო რაგბის უმთავრესი ტურნირის „ჰაინეკენის თასის“ ჩემპიონი გახდა.

**ბაჩო სვანიძე**

ზე-14 2008. ფინალი. კრაისტჩერჩი. 31 მაისი

**კრუზეიდერზი 20:12 ვოროთაზი**
კრუზეიდერზი: 1ლ: ტუიალი; 4ს: კარტერი; 1ა: კარტერი
ვოროთაზი: 2ლ: ტარნერი; 1გ: ბეილი

# მეშვიდე ჯვაროსნული



**31 მაისს** ზე-14-ის ფინალურ შეხვედრაში „კრუზეიდერზმა“ კრაისტჩერჩში „ვოროთაზი“ დაამარცხა და სამხრეთ ნახევარსფეროს ელიტარულ კლუბებს შორის მეშვიდედ გაჩემპიონდა. გეტყვით იმასაც, რომ ახალზელანდიური გრანდის დამრიგებელმა რობი დინსმა „ჯვაროსანთა“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე ცხრაწლიანი კარიერა ჩემპიონობით დაასრულა და ავსტრალიას გაეშურა ახალი გუნდის დასამოძღვრად. იგი 2011 წლის მსოფლიოს თასისთვის ავსტრალიის ნაკრებს გაწვრთნის.

ფინალური შეხვედრა კი მშვენიერი სანახავი გამოდგა. სტადიონზე შეკრებილმა 26 000-მა გადარეულმა ქომაგმა ყველაფერი ნახა, რაც კი დიდ რაგბის დაამშვენებდა. თავბრუდამხვევი ტემპი, ბრძოლა ბოლო წამებამდე, ლამაზი დრიბლინგები, დენ კარტერის ფეხით მოხდენილი პატარა სასწაულები...

ავსტრალიური „ვოროთაზის“ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მთელი შეხვედრის განმავლობაში მოდუნების საშუალება არ მიუცია მასპინძელთათვის. პირველი ტაიმი, სულაც ავსტრალიელთა უპირატესობით ჩამთავრდა. შეხვედრაში ანგარიში დენ კარტერმა გახსნა, მაგრამ მე-9 წუთზე სტუმრებმა პირველი ლელო გაიტანეს. „ვოროთაზის“ გამთამაშებელმა კურტლი ბეილიმ ფეხით ჩაუკიდა ბურთი ლაჩლან ტარნერს და მანაც სალელოვედ ირბინა. ბეილიმ გარდასახვა გააფუჭა. „ჯვაროსნებმა“ ამ ყველაფრის შემდეგ მოედანზე ისეთი ცეცხლი დაანთეს, რომ ბარე ორი გუნდი ვერ გაანელებდა, მაგრამ ავსტრალიელთა ქვა და რკინად ქცეულ დაცვის ხაზზე მასპინძელთა გოროზი შეტევები ამაოდ ილეწებოდა. ის კი არა, 26-ე წუთზე სტუმრებმა მეორე ლელოს გატანა შესძლეს.

საწყის წუთებზე იგივე ტარნერმა რამდენჯერმე სცადა, თავისსავე დარტყმულ ბურთს გამოჰკიდებოდა და შემდეგ რაიმე სახეირო გამოედნო ამისგან, მაგრამ ჩანაფიქრი მოწინააღმდეგეების მეოხებით ეფუშებოდა. ტარნერმა კიდევ ერთი ცდა არ დაიზარა და მეორე ლელოს ავტორიც თავად გახდა. მთელი პირველი ტაიმი „ვოროთაზის“ რაგბობა მდინარის საწინააღმდეგოდ ცურვას მოგაგონებდათ. მათდა სამწუხაროდ, სათავესთან მისასვლელი გზა 38-ე წუთზე მოსი ტუიალმა მოჭრა, რომელმაც კარტერისა და რიჩი მაკქოუს თავბრუდამხვევი კომბინაცია ლელოდ აქცია. კარტერმა გარდასახვა კი გააფუჭა, მაგრამ გატანილი ლელოს შემდეგ „კრუზეიდერზის“ შეჩერება შეუძლებელი გახდა. სტუმრები მეორე ნახევარში ხშირად ჯარიმდებოდნენ, რაც დენ კარტერმა სამ ზუსტ საჯარიმოში ასახა. „ჯვაროსანთა“ ათმა ნომერმა შეხვედრის. მიწურულს ერთი არეკნიც გაიტანა და მატჩის საბოლოო წერტილიც დასვა.

**ზურაბ მიგრიაული**

საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაცია
ულოცავს დაბადების დღეს საქართველოს დამსახურებულ
მწვრთნელს ბატუტზე ხტომებში, მსოფლიოს, ევროპის, ოლიმპიური
თამაშების ჩემპიონების აღმზრდელს, ღირსების მედალოსანს
ბატონ ზაურ სულაშვილს



# ენერჯის სუპერინვესტიცია

სუპერთასი. 1 ივნისი. სპორტის სასახლე

**ენერჯი ინვესტი 93:88 ავიამშენი**

**23:12 26:27 22:27 22:22**

**ენერჯი:** გამყრელიძე (15), გოგობერიშვილი, ლეჟავა (13), ტუჯანი (7), სტეფანოვი (25 ქულა, 12 მოხსნა); ბაბიაშვილი (15), ჭოჭუა (10), ჩიტაშვილი (8)
**ავიამშენი:** ტულუში (19), ნიკოლაძე (14), კვიმსაძე (4), მათიაშვილი (12), როდუმტა (11); მინაშვილი (23), ბერაია (5), ნინიაშვილი, სუხიშვილი
*მსაჯები:* მაკა კუპატაძე, ხათუნა გაბედავა
*კომისარი:* როლანდ ხომერიკი

გუშინ საბოლოოდ დასრულდა საკალათბურთო სეზონი. ერთი კვირის წინ „ენერჯი-ინვესტი“ რომ გაჩემპიონდა, გასარკვევი მხოლოდ სუპერთასის მფლობელის ვინაობა დარჩა. სეზონის ამ ბოლო ტიტულისთვისაც სავინალო მეტოქეები ერკინებოდნენ: ჩემპიონი რუსთაველები თასის მფლობელი „ავიამშენის“ წინააღმდეგ.

რაც ამ სეზონში კალათბურთის ფედერაციამ ტიტული გაათამაშა, ყველა ამ გუნდებმა მოიგეს. იანვარში გამართული საქართველოს თასი და ქორქია-საკანდელიძის მემორიალი „ავიატორებისა“ იყო, ხოლო დუდუ დადიანის ხსოვნის ტურნირი და ჩემპიონობა — რუსთაველების. ჰოდა, სიმბოლურიც იყო, რომ სეზონის ბოლო ტიტულს ქვეყნის მართლაც 2 საუკეთესო გუნდი ეცილებოდა. შესაბამისად, ორივეს გულით უნდოდა გამარჯვება და ეს მონდომება საკუთრივ თამაშმაც გამოაჩინა.

„ავიატორებს“ ფინალში განცდილი მარცხისთვის რევანში სწყუროდათ. მოგების შემთხვევაში ხომ სატრაბახო ექნებოდათ რუსთაველებთან — მართალია, ჩემპიონობა აგვართვით, მაგრამ თქვენზე მეტი ტიტული მაინც ხომ დავისაკუთრეთო.

ლევან მოსეშვილის გუნდმა მედგარი წინააღმდეგობა ამიტომაც გაუწია რუსთაველებს და არც მაშინ ჩამოყარა ყურები, როცა პირველი ტაიმის მიწურულს ქვემოქართლელთა უპირატესობამ 15 ქულას მიაღწია.

მატჩის ფინალი დრამატული გამოდგა, თუმცა მანამდეც საინტერესო ამბები მოხდა. ამაში კი სწორედ იმ ჩამორჩენის აღმოფხვრას ვგულისხმობთ, მოსეშვილის შეგირდებმა რომ მოახერხეს.

თანაბარი საწყისი ხუთწუთეულის შემდეგ რუსთაველებმა ერთიანად აიშვეს. სანამ თბილისელთა კამერუნელ ცენტრ პლასიდე როდუმტას ჭარბი ჯარიმები არ დაუგროვდებოდა, „ავიატორებს“ არაფერი უჭირდათ. აფრიკელი ფარქვეშ გაუვალი იყო და შეტევაშიც ყოჩაღობდა. მის მხარდამხარ უფრო თამამად ირჯებოდა ახალგაზრდა რიჩარდ მათიაშვილი, რომლის მორიგ გარღვევას ანგარიშის 12:12 გათანაბრება მოჰყვა. ეს თამაშის მე-7 წუთზე მოხდა და პირველი მეოთხედის დარჩენილ 3 წუთში რუსთაველებმა მეტოქესგან ქვა ქვაზე არ დატოვეს.

როდუმტას 3 პერსონალურ დაჰგროვებოდა და ინერტულობდა, ქვემოქართლელები კი თამამად შედიოდნენ ფარქვეშ და 11:0 გაქცევის შემდეგ პირველ შესვენებაზე 11-ქულიანი ლიდერობით გავიდნენ — 23:12. „ავიატორთა“ დამრიგებელმა რატომღაც მათიაშვილი გაიყვანა მოედნიდან და სამჯარიმიანი როდუმტა დატოვა. თამაშში ჩართულმა ლადო სუხიშვილმა კი რამდენიმე ბურთი დაკარგა და ააცილა, რითაც რუსთაველთა ფეხმარდმა უკანახაზელებმა — ლაშა გამყრელიძემ, ბესიკ ლეჟავამ, მიხეილ ჭოჭუამ — ისარგებლეს და რუსთაველებს სოლიდური უპირატესობა დაუბევეს.

მეორე მეოთხედში უკვე იოვან სტეფანოვმა, სუპერთასის მომავალმა საუკეთესო მოთამაშემ და ბომბარდირმა გამოიღო ხელი. მისმა ფარქვეშა აქტიურობამ რუსთაველთა უპირატესობა 15 ქულამდე გაზარდა, თუმც მერე „ავიატორთა“ ლიდერი კოტე ტულუშიც ამოქმედდა და დიდი შესვენებისთვის ჩამორჩენა ათამდე შეამცირა — 39:49.

ქვემოქართლელებს ქულების გროვება გაუძვირდათ, „ავიამშენის“ მეფარე ვახტანგ მინაშვილს კი სროლები წაუვიდა და მიჯრით ჩაგდებული 3 სამიანის შემდეგ, გადამწყვეტი მეოთხედის წინ რუსთაველთა ლიდერობა 5 ქულამდე შეიკვეცა.

ბოლო ათწუთეული განახლდა თუ არა, ნოდარ ბერაიამ ზედიზედ 5 ქულა მიითვალა და ანგარიში გაათანაბრა (71:71), თუმც „ავიატორებს“ კამერუნელი ცენტრი პერსონალურების ლიმიტის გამო გაუვარდათ, ვისაც მალე მათიაშვილიც მიჰყვა და თბილისელებს ფარქვეშეთი მოუშიშვლდათ.

მიუხედავად ამისა, მოსეშვილის გუნდი არ გატყდა და ამაში ლომის წილი კოტე ტულუშს მიუძღვის, რომელიც ქულებს ხომ იხვეჭდა, თუმცა უფრო მეტად გამოზომილი პასებით გამოირჩეოდა და ასე თანაბრად მივიდა მატჩი დასასრულამდე.

სირენამდე 3 წუთით ადრეც ფრე იყო, თუმცა ლაშა გამყრელიძის მოუსვენრობამ რუსთაველები 83:79 დააწინაურა და „ავიამშენს“ თამაშის გადასარჩენად 2 წუთი დარჩა.

**ბოლო 2 წუთის სტენოგრამა**

02:00 ტულუში ორ ჯარიმას აგდებს (83:81)
01.30 ლეჟავას სამქულიანი ზუსტია (86:81)
01:00 ნიკოლაძე ორქულიანს აგდებს (86:83)
00:40 ნიკოლაძე სამქულიანს აცილებს და ლეჟავა კონტრშეტევისას ზუსტია (88:83)
00:38 ტულუშზე სამქულიანის სროლისას ჯარიმდებიან და ის სამჯერვე ზუსტია (88:86)
00:24 მინაშვილი ფარქვეშ შეჭრილ გამყრელიძეზე ჯარიმდება და ეს უკანასკნელი ორივეს აგდებს (90:86)
00:19 ტულუში ორივე საჯარიმოს აგდებს (90:88)
00:12 თბილისელები ტაქტიკურად ჯარიმდებიან ჩიტაშვილზე, რომელიც ერთს აგდებს (91:88)
00:03 ტულუში გამთანაბრებელ სამქულიანს აცილებს და ფარიდან ასხლეტილ ბურთს იოვან სტეფანოვი ეუფლება
00:02 სტეფანოვზე თბილისელები ჯარიმდებიან და სერბი ლეგიონერი საბოლოო ანგარიშზე აფიქსირებს (93:88)
სუპერთასი რუსთაველებისაა!

**ირაკლი პერტაია**

მატჩის შემდეგ ფედერაციამ სეზონის ლაურეატები დაასახელა, რომლებიც გამოკითხვის შედეგად შეირჩნენ:
საუკეთესო მწვრთნელი — დავით უსტიაშვილი (ენერჯი-ინვესტი)
სეზონის საუკეთესო მოთამაშე — კოტე ტულუში (ავიამშენი)
სუპერფინალის საუკეთესო მოთამაშედ მატჩის ბომბარდირი იოვან სტეფანოვი დასახელდა.

**NBA პლეი ოფი. ნახევარფინალი**

# არის ბოსტონი-ლეიკერსი! ძველი ჩემპიონები ისტორიას იმეორებენ

30 მაისი

## აღმოსავლეთი

**ბოსტონი 4:2 დეტროიტი**

**დეტროიტი 81:89 ბოსტონი**

**დეტროიტი:** ბილაფსი (29), ჰამილტონი (21), პრინსი (10), მაკდაიესი (6), ვოლესი (4); მაქსეილი (7), სტაკი (4), რეთლიფი, ჰანტერი, აფლალო
**ბოსტონი:** რონდო (11), რ. ალენი (17), პირსი (27), გარნეტი (16), პერკინსი (7); პოუი (4), პოუზი (3), ბრაუნი (2), კასელი (2), ჰაუსი

ახლა ამერიკის ოცნება: ფინალში „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ მეტოქე იქნება „ბოსტონ სელტიქსი“ და ჩემპიონის ვინაობა ნბა-ს ამ ორ ყველაზე ტიტულოვან გუნდს შორის გაირკვევა.

„ბოსტონი“ და „ლეიკერსი“!

ამით ყველაფერია ნათქვამი და ყველაფერია სათქმელი. რამდენ ძველ ქომაგს გაახსენდება ძველი, მართლაც ტკბილი დროება, 80-იანებში მეჯიქ ჯონსონის და ლარი ბერდის დაუვიწყარი შეტაკებები. უფრო ძველები, სავარძელში მისვენებული მოხუცები 60-იანებსაც მოიგონებენ, აქეთ ჯერი ვესტის და ელჯინ ბეილორის უილბლო „ლეიკერსს“, იქით ბილ რასელის, ბობ კოუზის და ჯონ ჰავლიჩეკის ზეწარმატებულ „ბოსტონს“.

დღეს კი სულ სხვა ვარსკვლავები გაუძღვებიან ფინალში დაბრუნებულ ისტორიულ მეტოქეებს, რომლებიც საჩემპიონო ბრძოლაში 11-ედ შეეტაკებან ერთმანეთს.

შარშანდელ ჩემპიონ „სან ანტონიოს“ მძლეველ „ლეიკერსს“ დიდხანს არ მოუხდა ცდა. „ბოსტონმაც“ მალე მოუთავა ხელი „დეტროიტს“ — სერია მეშვიდე თამაშამდე აღარ გაწელა, მეექვსეში, დეტროიტშივე დასვა წერტილი და ბოლო 21 წელიწადში პირველად გავიდა ფინალში. „დეტროიტი“ კი ზედიზედ მესამედ წყვეტს საჩემპიონო სვლას აღმოსავლეთის ფინალში და ხმები დადის, ხუთი წლის წინ ჯო დუმარსისა და ლარი ბრაუნის მიერ მტკიცედ აშენებულ ამ გუნდს მომავალი სეზონიდან რეკონსტრუქცია „ემუქრებაო“. დუმარსი ალბათ გაუშვებს მწვრთნელ ფლიპ სანდერსს, რომელმაც სამი ცდიდან ერთხელაც ვერ მოიგო კონფერენციის ფინალი და ცვლილებათა ქარი ალბათ სხვა გუნდში გადაისვრის ვეტერან მეფარე რაშიდ ვოლესსაც, რომელიც ცოტა არ იყოს მობერდა ასეთი გიჟური პლეი ოფებისთვის.

„ბოსტონთან“ უკანასკნელ ჯახში ვოლესი დაძაბუნებულად გამოიყურებოდა და თამაშიდან 12 სროლიდან მხოლოდ ორი ჩააგდო. არადა „დეტროიტს“ როგორც არასდროს ისე სჭირდებოდა მისი მხარდაჭერა. მასპინძლები ძალზე ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან და სერიაში ანგრიშის გათანაბრებასთან, მეშვიდე მატჩში კი ვინ იცის, რა მოხდებოდა, მაგრამ ბოლო მეოთხედში 10-ქულიანი უპირატესობა გაფლანგეს და საკუთარ მოედანზე მეტოქე აზეიმეს.

ბოსტონელები კი ცაში ფრინავდნენ. შარშანდელს აქეთ სრულიად გადასხვაფერებულ და მწვანე ფერფლიდან კელტური დრაკონივით აღმდგარ „სელტიქსს“ რამდენიმე თვეში აუხდა ოცნება, ყოველ შემთხვევაში, თითქმის აუხდა — პოლ პირსს შეამხანაგებული ვეტერანი ვარსკვლავები კევინ გარნეტი და რეი ალენი პირველად აფრინდნენ ასე მაღლა, თანაც ბოლო წუთებში დრამატულად შემობრუნებულ თამაშში გამარჯვებამ მათი სიხარული ცისარტყელას ფერებით შემოსა. გარნეტი და პირსი ერთმანეთზე მკლავგადახვეულები შელასლასდნენ გასახდელში. ვილაცამ გარნეტს რომ შეხედა, უთხრა, ჭიქა წყალი ხომ არ გინდაო... რა მოკლავს ამხელა კაცს სიხარულით, ახლა სჭირდება გონს მოსვლა და ძალების მოკრეფა. ყველა აღმოსავლელი მეტოქე ძლეულია, მაგრამ დასავლეთის ჩემპიონები, კობი ბრაიანტი და მისი ამალა ფინალში იოლად არაფერს დათმობენ.

ხუთშაბათს დაიწყება ფინალი. მოედნის უპირატესობა „ბოსტონისაა“ და „კელტებს“ აქამდე დიდად ეხმარებოდათ არაოფიციალური მეექვსე მოთამაშე, საკუთარი მაყურებელი — შინ 11 საპლეიოფო ჯახიდან 10 მოიგეს. მაგრამ „ლეიკერსი“ სულაც არ დაგიდევთ, ტრიბუნები მწვანე იქნება თუ მელნისფერი. მან თავის მხრივ შვიდი გასვლიდან ოთხი მოიგო, ასე რომ ძაან ფინალი გველის კალათბურთის მოყვარულებს. მაშ, ჩავუსაფრდეთ.

**ვანო კობიაშვილი**



როლან გაროსი 2008. პარიზი. თიხა. 26 მაისი — 8 ივნისი. საპრიზო 13 796 000 ევრო

# რაღაც მოხდა, დავიდენკოს მოხვდა

### კაცები

#### მესამე წრე

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — მარიო ანჩიჩი (ხორვატია) 6:3 6:4 6:2; **ივან ლიუბიჩიჩი** (28, ხორვატია) — ნიკოლაი დავიდენკო (4, რუსეთი) 4:6 2:6 6:3 6:2 6:4; **დავიდ ფერერი** (5, ესპანეთი) — ლეიტონ ჰიუიტი (25, ავსტრალია) 6:2 3:6 3:6 6:3 6:4; **ფერნანდო გონსალესი** (24, ჩილე) — სტანისლას ვავრინკა (9, შვეიცარია) 5:7 2:6 6:4 6:4 6:4; **რადეკ შტეფანეკი** (21, ჩეხეთი) — ტომი რობრედო (12, ესპანეთი) 6:3 6:2 6:1; **გაელ მონფილზი** (საფრანგეთი) — იურგენ მელცერი (ავსტრია) 4:6 7:5 4:6 6:0 6:2; **ჟულიენ ბენეტო** (საფრანგეთი) — რობინ სოდერლინგი (შვედეთი) 1:6 7:6 6:0 6:1; **რობი ჯინეპრი** (აშშ) — ფლორინ სერა (საფრანგეთი) 6:4 6:4 6:4

#### მეოთხე წრე

**რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — ფერნანდო ვერდასკო (22, ესპანეთი) 6:1 6:0 6:2; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (3, სერბეთი) — პოლ-ანრი მატიო (18, საფრანგეთი) 6:4 6:3 6:4; **ნიკოლას ალმაგრო** (19, ესპანეთი) — ჟერემი ჩარდი (საფრანგეთი) 7:6 7:6 7:5; **ერნესტ გულბისი** (ლატვია) — მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) 6:4 7:6 6:3

### ქალები

#### მესამე წრე

**მარია შარაპოვა** (1, რუსეთი) — კარინ კნაპი (32, იტალია) 7:6 6:0; **ელენა იანკოვიჩი** (3, სერბეთი) — დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) 7:5 6:3; **სვეტლანა კუზნეცოვა** (4, რუსეთი) — ნადია პეტროვა (25, რუსეთი) 6:2 6:1; **ელენა დემენტიევა** (7, რუსეთი) — ოლგა გოვორცოვა (ბელარუსი) 6:0 6:4; **ვერა ზვონარიოვა** (11, რუსეთი) — ალექსანდრა ვოზნიაკი (დანია) 6:2 6:2; **პეტრა კვიტოვა** (ჩეხეთი) — აგნეს სავაი (12, უნგრეთი) 7:6 4:6 6:2; **დინარა საფინა** (13, რუსეთი) — ჟი ჟენგი (ჩინეთი) 6:2 7:5; **ვიქტორია აზარენკა** (16, ბელარუსი) — ფრანჩესკა შიავონე (18, იტალია) 6:1 6:1; **კაია კანეპი** (ესტონეთი) — ანაბელ მედინა გარიგესი (29, ესპანეთი) 6:1 6:7 7:5

#### მეოთხე წრე

**ანა ივანოვიჩი** (2, სერბეთი) — პეტრა ჩეტკოვსკა (ჩეხეთი) 6:0 6:0; **იანკოვიჩი** — აგნეშკა რადვანსკა (14, პოლონეთი) 6:3 7:6; **პატი შნიდერი** (10, შვეიცარია) — კატარინა სრებოტნიკი (27, სლოვენია) 6:2 6:4 ; **კარლა სუარეს ნავარო** (ესპანეთი) — ფლავია პენეტა (26, იტალია) 6:3 6:2



მიშელ ლოდრას ასეთმა დარტყმებმაც ვერ უშველა


ივან ლიუბიჩიჩი

**მას** შემდეგ, რაც პარასკევს პარიზიდან დები უილიამსები დაიფრინეს, შაბათს თითქოს მშვიდად უნდა ჩაევლო, მაგრამ ერთი ხმაურიანი ამბავი მაინც მოხდა და თანაც, კაცთა განყოფილებაში — წლეულს საზიზღრად მოთამაშე ივან ლიუბიჩიჩმა ერთბაშად გამოიღვიძა და საწყისი ორი სეტის წაგების შემდეგ შემოუტრიალა თამაში მე4 ნომრად განთესილ ნიკოლაი დავიდენკოს.

კოლია კარიერის, ალბათ, საუკეთესო სეზონს ატარებს, ხოლო ახმახ ხორვატს ბოლო თვეებია, ღირებული არაფერი გაუკეთებია. თითქოს ყველაფერი ნათელი იყო, რუსმა უპრობლემოდ მოიგო ორი პარტია და... „უზომოდ ბედნიერი ვარ, ეს უდიდესი გამარჯვება იყო. დავიდენკო პირველ ორ სეტში ფანტასტიკურად თამაშობდა, ამიტომაც განსაკუთრებული ფიზიკური მომზადება იყო საჭირო. მესამე სეტში მან ოდნავ მოუკლო და სისხლის სუნი ვიყნოსე. პირველი ბრეიკის შემდეგ კი სულ უფრო და უფრო უკეთ ავთამაშდი. ვიცოდი, რომ გრძელი მატჩი მელოდა, ძალები გავანაწილე და თანაც, მოწოდებაც წამივიდა. ბოლო ხანებში ცუდი დროება მქონდა, მაგრამ აი, ისევ მოვიგე, თანაც ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტთან და ამით ძალიან ბედნიერი ვარ“ — ემოციებს ვერ მალავდა ლიუბიჩიჩი, ხოლო დავიდენკო, ბუნებრივია და, პირიქით, გაწბილებული იყო: „ძნელი სათქმელია, მან მომიგო, თუ მე წავაგე. პირველ ორ სეტში ის არ თამაშობდა, მაგრამ შემდეგ ერთბაშად გაცოცხლდა და ყველა ბურთისთვის ბრძოლა დაიწყო. მე ავნერვიულდი და შეცდომებს ვუმატე. გადამწყვეტი მეოთხე სეტი იყო. სწორედ მეოთხე პარტიაში რაღაც მოხდა. ზუსტად რა, არ ვიცი, მაგრამ რაღაც ნამდვილად მოხდა და მე თამაში წავაგე“.

მთლიანობაში, შაბათი ეპიკური მატჩების დღე იყო. ლიუბიჩიჩის გარდა, პირველი ორი სეტის წაგების შემდეგ ჩილელმა ფერნანდო გონსალესმაც იმარჯვა და ის წლეულს, კვლავაც დაუმარცხებელია თიხაზე. გონსალესმა უდრამატულეს ბრძოლაში შვეიცარიელ სტანისლას ვავრინკას აჯობა, რომლისთვისაც მიმდინარე სეზონი საუკეთესოა კარიერაში.

სამსაათ-ნახევარზე მეტხანს გაგრძელდა მე-5 ნომრად განთესილი ესპანელი დავიდ ფერერისა და ყოფილი პირველი ჩოგნის, ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტის დაპირისპირება და აქაც ყველაფერი მეხუთე სეტში გადაწყდა. თავიდან ფერერი იგებდა, შემდეგ ორ სეტში ჰიუიტმა იმარჯვა და წინაც გავიდა, მაგრამ ბოლომდე საბრძოლველად ოზს ძალები არ ეყო — ბოლო ხანებში ის ტრავმებისგან იყო გაწამებული, ერთი ხანობა საფრანგეთში თამაშს არც აპირებდა, თუმც პარიზში მაინც ჩავიდა და მთლიანობაში, საკმაოდ კარგი შთაბეჭდილებაც დატოვა.

სეტებში 1:2 ჩამორჩენის შემდეგ იძალა ფრანგმა გაელ მონფილზმაც, რომელმაც ავსტრიელი იურგენ მელცერის წინააღმდეგობა გატეხა, ხოლო მეორე ფრანგმა, ჟულიენ ბენეტომ, პირველ სეტში 1:6 ჩაფლავების შემდეგ აჯობა შვედ რობინ სოდერლინგს.

აი, ასეთი თამაშები იყო, რომელთა შემდეგაც მერვედფინალში ერთბაშად 5 ფრანგი კაცი მეჩოგნე გავიდა (პირველად 1971 წლის შემდეგ) და ამ ფონზე იმის თქმა, რომ როჯერ ფედერერმა იოლად აჯობა მარიო ანჩიჩს, ალბათ, ზედმეტია. ფედერერზე იოლად იმარჯვა ჩეხმა რადეკ შტეფანეკმა, რომელმაც მე-12 ნომრად განთესილ ესპანელ ტომი რობრედოს ოდენ ექვსი გეიმი დაანება.

უილიამსების გავარდნის შემდეგ, შაბათს ქალებმა მშვიდად ითამაშეს, ფაქტორბრივად, ყველა ფავორიტმა იოლად მოიგო და ერთადერთმა, ისევ მარია შარაპოვამ ანერვიულა თავისი ქომაგები. იტალიელ კარინ კნაპთან შეხვედრის პირველი სეტი მაშამ ტაიბრეიკამდე მიიყვანა და ამის შემდეგღა ათამაშდა ჩვეული ძალით — სეტი მოიგო და მეორეში კი მეტოქეს კინკინალ გეიმიც აღარ დაანება.

შარაპოვას ახლა თანამემამულე დინარა საფინასთან მოუწევს თამაში და საერთოდაც, ბადის ზედა მეოთხედში მხოლოდ რუსი ქალები დარჩნენ, ანუ ნახევარფინალში ერთი რუსი აუცილებლად იქნება — ან შარაპოვა-საფინას შორის გამარჯვებული, ანაც ვერა ზვონარიოვასა და ელენა დემენტიევას შორის საუეთესო.

დიდი შანსია, ამ ოთხეულიდან გასულს ნახევარფინალში ისევ რუსი, კერძოდ კი სვეტლანა კუზნეცოვა ერგოს მეტოქედ, რადგანაც ბადის მეორე მეოთხედში შეკრებილი აღმოსავლეთევროპელებიდან სწორედ კუზნეცოვა ჩანს ფავორიტად, რომელმაც, წესით. ბელარუს ვიკტორია აზარენკასაც უნდა აჯობოს და ჩეხ პეტრა კვიტოვასა და ესტონელ კაია კანეპის შორის გამაჯვებულსაც.

ქალთა ბადის ქვედა ნახევარში კი ყველაფერი სერბული ნახევარფინალისკენ მიდის. ანა ივანოვიჩი და ელენა იანკოვიჩი გრიალ-გრიალით მიიწევენ ერთმანეთის შესახვედრად და სასწაული უნდა მოხდეს, ამ რანდევუს ვინმემ ხელი შეუშალოს. თუმც, ნუ დავივიწყებთ კარლა სუარეს ნავაროს. ამ 19 წლის ესპანელმა თავისი პირველი „როლან გაროსი“ კვალიფიკაციიდან დაიწყო და აგერ, უკვე მეოთხედფინალს უწია მას შემდეგ, რაც გუშინ 26-ე ნომრად განთესილი იტალიელი ფლავია პენეტა უიოლესად დაჯაბნა. და მაინც, ძნელი წარმოსადგენია, რომ თუნდაც „როლან გაროსის“ სამგზის ჩემპიონის არანჩა სანჩეს ვიკარიოს ქომაგობამ კარლას იმხელა ძალა შემატოს, ივანოვიჩი რომ დაამარცხოს. ანა ხომ გუშინ, უბრალოდ დაფრინავდა კორტზე და ჩეხი პეტრა ჩეტკოვსკასგან „ბუბლიკებიღა“ დატოვა — 6:0 6:0 და ივანოვიჩისთვის არც რეიტინგის 132-ე საფეხურზე მყოფი ესპანელი უნდა იყოს დაუძლეველი ბარიერი.

ანასგან განსხვავებით, ელენას ოდნავ უფრო გაუჭირდა, თუმც სწრაფად პროგრესირებად პოლონელ აგნეშკა რადვანსკას ისიც ორ სეტში მოერია.

ერნესტ გულბისი კი აღარ ხუმრობს. გუშინ ჯეელმა ლატვიელმა სამ სეტში გამოუყვანა წირვა ფრანგ მიშელ ლოდრას და კარიერაში პირველად უწია სლემტურნირის მეოთხედფინალს, სადაც წლევანდელი სეზონის უმთავრეს გმირს და ზედიზედ მეორე სლემტიტულზე დაგეშილ ნოვაკ ჯოკოვიჩს შეხვდება.

თავის მხრივ, არც სერბს უწვალია დიდად, კიდევ ერთ მასპინძელ პოლ-ანრი მატიოს ისიც სამ სეტში მოერია.

ჯოკოვიჩი კი არის ფრანგულ ტიტულზე დაგეშილი, მაგრამ მას გზაზე ერთი ისეთი კაცი ელის, ვინც მეოთხე წელია „როლან გაროსის“ კორტების მეფედ ითვლება და წამითაც არ ფიქრობს ტახტიდან ჩამოსვლას. ლაპარაკი, რაღა თქმა უნდა რაფაელ ნადალზეა, რომელმაც გუშინ თავის თანამემამულე ფერნანდო ვერდასკოს გადაუარა.

წვიმის გარეშე არც გუშინდელ დღეს ჩაუვლია და სწორედ ამის გამო ნადალსა და ვერდასკოს, ისევე როგორც ნიკოლას ალმაგროსა და ჟერემი ჩარდის, გვიანობამდე მოუწიათ კორტზე ყოფნა. დღეს კი მეოთხე წრის მატჩებს ბადის ზედა ნახევარში მყოფი მეჩოგნეები გამართავენ: ფედერერი ბენეტოს შეხვდება, გონსალესი — ამერიკელ რობი ჯინეპრის, ლიუბიჩიჩი — მონფილზს, ხოლო ფერერი — შტეფანეკს.

## ტატიშვილის კერსონი ვაშინგტონმა დახურა

**ანა ტატიშვილმა** ამერიკის შეერთებულ შტატებში, კალიფორნიული კერსონის 50-ათასიან ტურნირზე თამაში ნახევარფინალში დაასრულა.

კალიფორნიულ ჰარდზე ანა მე-4 ნომრად იყო განთესილი და ნახევარფინალამდე უპრობლემოდ მივიდა. სამხრეთაფრიკელ სურინა დე ბეერთან და კორტის მასპინძელ ეილი ვილთან გამარჯვებების შემდეგ ქართველმა ჩოგბურთელმა მეოთხედფინალში 6:0 6:2 გადაუარა ტურნირის მე-5 ნომერს, 24 წლისა და რეიტინგში 271-ე პოზიციაზე მყოფ მექსიკელ მელისა ტორეს-სანდოვალს.

ნახევარფინალში ანას მეტოქედ მრავალნაცადი ამერიკელი მაშონა ვაშინგტონი ერგო. 32 წლის ვაშინგტონი ამ წუთისთვის 571-ეა კლასიფიკაციაში, 2004 წელს კი მოწინავე ორმოცდაათეულის წევრი იყო. ქართველისა და ამერიკელის შეხვედრის პირველი სეტის ბედი ტაი ბრეიკზე გადაწყდა მასპინძლის სასარგებლოდ. საჩოგბურთო ლატარიაში წაგებამ ანაზე, როგორც ჩანს, ცუდად იმოქმედა და მეორე პარტიაში მან მეტოქეს წინააღმდეგობა ველარ გაუწია — 7:6 6:2 ვაშინგტონის სასარგებლოდ.



# კონტადორის უკვე ორი

## ველოსპორტის კონკისტადორმა ტურის შემდეგ ჯიროც მოიგო

### ალბერტო კონტადორი

დაიბადა 1982 წლის 6 დეკემბერს. პროფესიონალია 2003 წლიდან. გუნდები: **ONCE** (2003 წელი), „ლიბერტი სეგუროსი (2004-05), „ნასტანა" (2006), „დისქავერი" (2007), „ასტანა" (2008)

### კარიერის მონაგარი

**2003 წელი**: მოიგო „პოლონეთის ტურის" ერთი ეტაპი

**2005 წელი**: მოიგო „ვუელტა კატალონია", ამ რბოლის ერთი ეტაპი და თითო ეტაპი „ბასკების ქვეყნის ვუელტასა" და „რომანდიის ტურზე".

**2006 წელი**: თითო ეტაპი მოიგო „რომანდიის ტურზე" და „შვეიცარიის ტურზე".

**2007 წელი**: მოიგო ერთი ეტაპი „ვალენსიის ვუელტაზე", „პარიზი-ნიცა" და ამ რბოლის ორი ეტაპი; „კასტილიისა და ლეიონის ვუელტა" და ამ რბოლის ერთი ეტაპი; „ტურ დე ფრანსი" და ამ რბოლის ერთი ეტაპი.

**2008 წელი**: ზედიზედ მეორედ მოიგო „კასტილიისა და ლეიონის" ვუელტა და ამ რბოლის ერთი ეტაპი; „ბასკების ქვეყნის ვუელტა" და ამ რბოლის ორი ეტაპი, „ჯირო დიტალია".

**როგორც** ჩანს, მსოფლიო ველოსპორტს ახალი მეფე გამოუჩნდა და მისი კორონაცია ერთი წლით მხოლოდ იმიტომ გადაიდება, რომ უდიდესი და უპრესტიჟულესი რბოლის, „ტურ დე ფრანსის" ორგანიზატორებმა ალბერტო კონტადორის გუნდ „ასტანას" წლევანდელ რბოლაში მონაწილეობაზე უარი უთხრეს.

„ასტანა", თითქოს „არც ჯიროზე უნდა ყოფილიყო, კონტადორი არც ემზადებოდა ამისთვის, მაგრამ სულ ბოლო მომენტში იტალიური სუპერრბოლის ორგანიზატორებმა ლუქსემბურგში დარეგისტრირებულ ყაზახურ ველოგუნდს მწვანე შუქი აუნთეს და ზღვის სანაპიროზე მონებივრე ესპანელმაც ასე, მოუმზადებლად მიაშურა აპენინურ ჯოჯოხეთს.

მივიდა, ნახა და გაიმარჯვა! 25 წლის ასაკში ალბერტო კონტადორმა მოასწრო და მოიგო ორი უდიდესი ველორბოლა — „ტურ დე ფრანსი" და „ჯირო დიტალია" და რიგში „ვუელტა ესპანაა", რომლის დაპყრობასაც ალბერტო, სავარაუდოდ, წლეულსვე შეეცდება.

შარშანდელი „ტურისა" და წლევანდელი „ჯიროს" გარდა კონტადორმა ამ ორ წელიწადში ორჯერ მოიგო „კასტილიისა და ლეონის ვუელტა", პრესტიჟული „პარიზი-ნიცა" და „ბასკების ქვეყნის ვუელტა" და ეს, 25 წლის ასაკში, მაშინ, როდესაც ველომრბოლისთვის ოპტიმალური პერიოდი 27 წლის ასაკიდან იწყება. ეს ყველაფერი კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ველოპელოტონს ახალი პატრონი გამოუჩნდა: სამი წელიც კი არ გასულა მას შემდეგ, რაც დიადი ლენს არმსტრონგი ველოსიპედიდან ჩამოვიდა და აი, ველოტახტზე ახალი კაცი ადის. ისიც ვთქვათ, რომ არმსტრონგი, მაინც ერთი რბოლის „ტურ დე ფრანსის" კაცი იყო და კონტადორი კი მიჯრით იგებს ყველაფერს, დაახლოებით ისე, როგორც ამას უდიადესი ედი მერქსი აკეთებდა.

მერქსამდე და არმსტრონგამდე ჯერ შორი გზაა, მაგრამ ამ გზას კონტადორი თავაწეული მიუყვება და ეგებ, ძალზე შორსაც წავიდეს.

იტალიიდან ალბერტოს, ალბათ ის თუ მიყვება ხინჯად, რომ „ჯირო" ეტაპის მოუგებლად დაიპყრო. არაფერია, ასეთი შემთხვევები ადრეც ყოფილა და მომავალშიც იქნება. მთავარი ის გახლავთ, რომ 25 წლის ესპანელი, უკვე ორი დიდი ჯილდოთი იწონებს თავს და სავარაუდოდ, ეს მხოლოდ დასაწყისია.

წლევანდელი „ჯიროს" ბედი კი პარასკევს და შაბათს, ბოლო ორ სამთო ეტაპზე გადაწყდა, როდესაც იტალიელებმა, ახალგაზრდა რიკარდო რიკომ და შარშანდელმა ჩემპიონმა დანილო დი ლუკამ ვერ მოახერხეს კონტადორთან არსებული სხვაობის აღმოფხვრა. პარასკევის იერიშს დი ლუკამ იმხელა ძალა შეალია, რომ შაბათს უიმედოდ ჩამორჩა და კვირის ინდივიდუალურ რბოლაში კი, სულაც 112-ე შედეგი აჩვენა. რიკო კვირისთვის ოდენ 4 წამს კი აგებდა ესპანელთან, მაგრამ ყველამ კარგად იცოდა, ინდივიდუალურ რბოლაში კონტადორას მჯობნი რომ არ იყო და თავად რიკარდო ამბობდა, ჩემი ერთადერთი შანსი ის არის, ალბერტოს უცბად კრიზისი თუ დაეწყებაო.

არავითარი კრიზისი და მარცხენა ფეხზე ადგომა. კონტადორი, რომელიც გუშინ ბოლო დაადგა გზას, მშვიდად აკონტროლებდა სიტუაციას და უკვე ნახევარი დისტანციის შემდეგ წუთზე მეტს უგებდა რიკოს. ამიტომაც იყო, რომ თავი აღარ მოუკლავს ეტაპის მოგებისთვის. მთავარი, 2008 წლის „ჯირო დიტალია", მას უკვე მოგებული ჰქონდა.

### 91-ე ჯირო დიტალიას ეტაპების გამარჯვებულები

| | | |
|---|---|---|
| I ეტაპი | 23,6 კმ (გუნდური რბოლა) | სლიპსტრიმი (აშშ) |
| II ეტაპი | 207 კმ | რიკარდო რიკო (იტალია, „სონი დიუვალი") |
| III ეტაპი | 222 კმ | დანიელე ბენატი (იტალია, „ლიქუიგასი") |
| IV ეტაპი | 181 კმ | მარკ კავენდიში (ბრიტანეთი, „ჰაი როადი") |
| V ეტაპი | 203 კმ | პაველ ბრუტი (რუსეთი, „ტინკოფი") |
| VI ეტაპი | 232 კმ | მატეო პრიამო (იტალია, CSF) |
| VII ეტაპი | 176 კმ | გაბრიელე ბოსისიო (იტალია, LPR) |
| VIII ეტაპი | 209 კმ | რიკარდო რიკო (იტალია, „სონი დიუვალი") |
| IX ეტაპი | 218 კმ | დანიელე ბენატი (იტალია, „ლიქუიგასი") |
| X ეტაპი | 39,4 კმ (ინდ. რბოლა) | მარსიო ბრუზეგინი (იტალია, „ლამპრე") |
| XI ეტაპი | 199 კმ | ალესანდრო ბერტოლინი (იტალია, „დიქუიჯოვანი") |
| XII ეტაპი | 169 კმ | დანიელე ბენატი (იტალია, „ლიქუიგასი") |
| XIII ეტაპი | 177 კმ | მარკ კავენდიში (ბრიტანეთი, „ჰაი როადი") |
| XIV ეტაპი | 193 კმ | ემანუელ სელა (იტალია, CSF) |
| XV ეტაპი | 154 კმ | ემანუელ სელა (იტალია, CSF) |
| XVI ეტაპი | 12,9 კმ (ინდ. რბოლა) | ფრანკო პელიცოტი (იტალია, „ლიქუიგასი") |
| XVII ეტაპი | 146 კმ | ანდრე გრეიპელი (გერმანია, „ჰაი როადი") |
| XVIII ეტაპი | 143 კმ | იენს ფოიგტი (გერმანია, CSC) |
| XIX ეტაპი | 238 კმ | ვასილ კირიენკა (ბელარუსი, „ტინკოფი") |
| XX ეტაპი | 232 კმ | ემანუელ სელა (იტალია, CSF) |
| XXI ეტაპი | 28,5 კმ (ინდ. რბოლა) | მარკო პინოტი (იტალია, „ჰაი როადი") |

### 91-ე ჯირო დიტალია. 10 მაისი — 1 ივნისი

#### XX ეტაპი

**როვეტა — ტირანო. 232 კმ**

| | |
|---|---|
| 1. ემანუელ სელა (იტალია, CSF) | 6 სთ 52 წთ 45 წმ |
| 2. ჯილბერტო სიმონი (იტალია, „დიქუიჯოვანი") | +1 წთ 04 წმ |
| 3. ხოაკინ როდრიგესი (ესპანეთი, „კაის დეპარნი") | +1.22 |
| 4. რიკარდო რიკო (იტალია, „სონი დიუვალი") | +1.30 |
| 5. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „ასტანა") | +1.30 |

#### XXI ეტაპი

**ჩეზანო მადერნო — მილანი. 28,5 კმ. ინდივიდუალური რბოლა**

| | |
|---|---|
| 1. მარკო პინოტი (იტალია, „ჰაი როადი") | 32წთ 45წმ |
| 2. ტონი მარტინი (გერმანია, „ჰაი როადი") | +7წმ |
| 3. მიხაილ იგნატიევი (რუსეთი, „ტინკოფი") | +10წმ |
| 4. ბრედლი ვიგინსი (ბრიტანეთი, „ჰაი როადი") | +13წმ |
| 5. კრისტიან ვანდეველდე (აშშ, „სლიპსტრიმი") | +22წმ |

#### საბოლოო მდგომარეობა

| | |
|---|---|
| 1. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „ასტანა") | 89სთ 56წთ 49წმ |
| 2. რიკარდო რიკო (იტალია, „სონი დიუვალი") | +1წთ 57წმ |
| 3. მარსიო ბრუზეგინი (იტალია, „ლამპრე") | +2.54 |
| 4. ფრანკო პელიცოტი (იტალია, „ლიქუიაგასი") | +2.56 |
| 5. დენის მენშოვი (რუსეთი, „რაბობანკი") | +3.37 |
| 6. ემანუელ სელა (იტალია, CSF) | +4.31 |
| 7. იურგენ ვან დენ ბროკი (ბელგია, „ლოტო") | +6.30 |
| 8. დანილო დი ლუკა (იტალია, LPR) | +7.15 |
| 9. დომენიკო პიზოვივო (იტალია, CSF) | +7.53 |
| 10. ჯილბერტო სიმონი (იტალია, „დიქუიჯოვანი") | +11.03 |

**ყველაზე აქტიური მრბოლი**: 1. დანიელე ბენატი (იტალია, „ლიქუიგასი")189 ქულა; 2. ემანუელ სელა (იტალია, CSF) 138; 3. რიკარდო რიკო (იტალია, „სონი დიუვალი") 131; 4. მარკ კავენდიში (ბრიტანეთი, „ჰაი როადი") 106; 5. პაოლო ბეტინი (იტალია, „ქვიკ სტეპი") 106.

**საუკეთესო სამთო მრბოლი**: 1. ემანუელ სელა (იტალია, CSF) 136 ქულა; 2. ვასილ კირიენკა (ბელარუსი, „ტინკოფი") 63; 3. ფორტუნატო ბალიანი (იტალია, CSF) 48; 4. ხულიო პერეს კუაპიო (მექსიკა, CSF) 20. 5. ალესანდრო ბერტოლინი (იტალია, „დიქუიჯოვანი") 20

#### საუკეთესო ახალგაზრდა მრბოლი

| | |
|---|---|
| 1. რიკარდო რიკო (იტალია, „სონი დიუვალი") | 89სთ 58წთ 46წმ |
| 2. იურგენ ვან დენ ბროკი (ბელგია, „ლოტო") | +4წთ 33წმ |
| 3. ვინჩენცო ნიბალი (იტალია, „ლიქუიგასი") | +18.17 |
| 4. კრის სორენსენი (დანია, CSC) | +1:02.12 |
| 5. მეტიუ ლოიდი (ავსტრალია, „ლოტო") | +1:03.55 |

#### გუნდური ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. CSF (იტალია) | 268სთ 52წთ 44წმ |
| 2. ასტანა (ლუქსემბურგი-ყაზახეთი) | +43წთ 48წმ |
| 3. ლიქუიგასი (იტალია) | +1:02.42 |
| 4. LPR (იტალია) | +1:06.45 |
| 5. ლოტო (ბელგია) | +1:38.13 |

### ჯიროს ჩემპიონები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1909 | ლუიჯი განა (იტალია) | 1963 | ფრანკო ბალმამიონი (იტალია) |
| 1910 | კარლო გალეტი (იტალია) | 1964 | ჟაკ ანკეტილი (საფრანგეთი) |
| 1911 | კარლო გალეტი (იტალია) | 1965 | ვიტორიო ადორნი (იტალია) |
| 1912 | „ატალა" (იტალია) | 1966 | ჯანი მოტა (იტალია) |
| 1913 | კარლო ორიანი (იტალია) | 1967 | ფელიჩე ჯიმონდი (იტალია) |
| 1914 | ალფონსო კალცოლარი (იტალია) | 1968 | ედი მერქსი (ბელგია) |
| 1915-18 | არ ჩატარებულა | 1969 | ფელიჩე ჯიმონდი (იტალია) |
| 1919 | კონჩანტე ჯირარდენჯო (იტალია) | 1970 | ედი მერქსი (ბელგია) |
| 1920 | გაეტანო ბელონი (იტალია) | 1971 | გოსტა პეტერსონი (შვედეთი) |
| 1921 | ჯოვანი ბრუნერო (იტალია) | 1972 | ედი მერქსი (ბელგია) |
| 1922 | ჯოვანი ბრუნერო (იტალია) | 1973 | ედი მერქსი (ბელგია) |
| 1923 | კონჩანტე ჯირარდენჯო (იტალია) | 1974 | ედი მერქსი (ბელგია) |
| 1924 | ჯუზეპე ენრიკი (იტალია) | 1975 | ფაუსტო ბერტოგლიო (იტალია) |
| 1925 | ალფრედო ბინდა (იტალია) | 1976 | ფელიჩე ჯიმონდი (იტალია) |
| 1926 | ჯოვანი ბრუნერო (იტალია) | 1977 | მიშელ პოლენტიე (ბელგია) |
| 1927 | ალფრედო ბინდა (იტალია) | 1978 | იოჰან დე მუინკი (ბელგია) |
| 1928 | ალფრედო ბინდა (იტალია) | 1979 | ჯუზეპე საროնი (იტალია) |
| 1929 | ალფრედო ბინდა (იტალია) | 1980 | ბერნარ ინო (საფრანგეთი) |
| 1930 | ლუიჯი მარკიზიო (იტალია) | 1981 | ჯოვანი ბატაგლინი (იტალია) |
| 1931 | ფრანჩესკო კამუზო (იტალია) | 1982 | ბერნარ ინო (საფრანგეთი) |
| 1932 | ალნტონიო პესენტი (იტალია) | 1983 | ჯუზეპე საროնი (იტალია) |
| 1933 | ალფრედო ბინდა (იტალია) | 1984 | ფრანჩესკო მოზერი (იტალია) |
| 1934 | ლეარცო გუერა (იტალია) | 1985 | ბერნარ ინო (საფრანგეთი) |
| 1935 | ვასკო ბერგამასკი (იტალია) | 1986 | რობერტო ვიზენტინი (იტალია) |
| 1936 | ჯინო ბარტალი (იტალია) | 1987 | სტივ როში (ირლანდია) |
| 1937 | ჯინო ბარტალი (იტალია) | 1988 | ენდრიუ ჰემპსტენი (აშშ) |
| 1938 | ჯოვანი ვალეტი (იტალია) | 1989 | ლორან ფინიონი (საფრანგეთი) |
| 1939 | ჯოვანი ვალეტი (იტალია) | 1990 | ჯანი ბუნიო (იტალია) |
| 1940 | ფაუსტო კოპი (იტალია) | 1991 | ფრანკო კიოჩოლი (იტალია) |
| 1941-45 | არ ჩატარებულა | 1992 | მიგელ ინდურაინი (ესპანეთი) |
| 1946 | ჯინო ბარტალი (იტალია) | 1993 | მიგელ ინდურაინი (ესპანეთი) |
| 1947 | ფაუსტო კოპი (იტალია) | 1994 | ევგენი ბერზინი (რუსეთი) |
| 1948 | ფიორენცო მანი (იტალია) | 1995 | ტონი რომინგერი (შვეიცარია) |
| 1949 | ფაუსტო კოპი (იტალია) | 1996 | პაველ ტონკოვი (რუსეთი) |
| 1950 | ჰუგო კობლეტი (შვეიცარია) | 1997 | ივან გოტი (იტალია) |
| 1951 | ფლორენცო მანი (იტალია) | 1998 | მარკო პანტანი (იტალია) |
| 1952 | ფაუსტო კოპი (იტალია) | 1999 | ივან გოტი (იტალია) |
| 1953 | ფაუსტო კოპი (იტალია) | 2000 | სტეფანო გარძელი (იტალია) |
| 1954 | კარლო კლერიჩი (შვეიცარია) | 2001 | ჯილბერტო სიმონი (იტალია) |
| 1955 | ფლორენცო მანი (იტალია) | 2002 | პაოლო სავოლდელი (იტალია) |
| 1956 | შარლ გაული (ლუქსემბურგი) | 2003 | ჯილბერტო სიმონი (იტალია) |
| 1957 | გასტონ ნენჩინი (იტალია) | 2004 | დამიანო კუნეგო (იტალია) |
| 1958 | ერკოლე ბალდინი (იტალია) | 2005 | პაოლო სავოლდელი (იტალია) |
| 1959 | შარლ გაული (ლუქსემბურგი) | 2006 | ივან ბასო (იტალია) |
| 1960 | ჟაკ ანკეტილი (საფრანგეთი) | 2007 | დანილო დი ლუკა (იტალია) |
| 1961 | არმალდო პამბიანკო (იტალია) | 2008 | ალბერტო კონტადორი (ესპანეთი) |
| 1962 | ფრანკო ბალმამიონი (იტალია) | | |

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ნორვეგია. ტიპელიგა | | | | | | |
| | | 2 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 108 | ბოდიო გლიმტი-ლილესტრიომი | 2.20 | 3.40 | 2.85 | 1.33 | 1.24 | 1.55 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 2 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 109 | ატვიდაბერგი-ლანდსკრონა | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| | | ისლანდია. პრემიერ დივიზიონი | | | | | | |
| | | 2 ივნისი | | | | | | |
| 00:00 | 110 | აკრანესი-ფილკირი | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 23:15 | 111 | რეიკიავიკი-ფრემი | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| 23:15 | 112 | გრინდავიკი-ჰაფნარფიორდური | 6.20 | 3.70 | 1.45 | 2.31 | 1.17 | 1.04 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 3 ივნისი | | | | | | |
| 00:00 | 113 | კოპავოგური-ვალური | 4.10 | 3.30 | 1.75 | 1.82 | 1.22 | 1.14 |
| | | FIFA. მჩ 2010 შესარჩევი მატჩები | | | | | | |
| | | 2 ივნისი | | | | | | |
| 14:30 | 100 | იაპონია-ომანი | 1.20 | 5.20 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.42 |
| 15:30 | 101 | ტაილანდი-ბაჰრეინი | 2.70 | 3.10 | 2.35 | 1.44 | 1.25 | 1.33 |
| 15:30 | 102 | სინგაპური-უზბეკეთი | 3.10 | 3.20 | 2.05 | 1.57 | 1.23 | 1.24 |
| 16:00 | 103 | თურქმენეთი-ჩრდ.კორეა | 3.00 | 3.20 | 2.20 | 1.54 | 1.26 | 1.30 |
| 16:30 | 104 | ირანი-საამიროები | 1.60 | 3.40 | 4.90 | 1.08 | 1.20 | 2.00 |
| 20:00 | 105 | ყატარი-ჩინეთი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 21:00 | 106 | სირია-კუვეიტი | 2.05 | 3.20 | 3.25 | 1.24 | 1.25 | 1.61 |
| 22:00 | 107 | საუდის არაბეთი-ლებანონი | 1.15 | 6.10 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.04 |

### I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10101 | ტაილანდი-ბაჰრეინი | 3.10 | 2.00 | 2.85 | 1.21 | 1.48 | 1.17 |
| 10102 | სინგაპური-უზბეკეთი | 3.50 | 2.00 | 2.50 | 1.27 | 1.45 | 1.11 |
| 10103 | თურქმენეთი-ჩრდ.კორეა | 3.40 | 2.00 | 2.60 | 1.25 | 1.47 | 1.13 |
| 10104 | ირანი-საამიროები | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10105 | ყატარი-ჩინეთი | 3.00 | 2.00 | 3.00 | 1.20 | 1.50 | 1.20 |
| 10106 | სირია-კუვეიტი | 2.45 | 2.00 | 3.70 | 1.10 | 1.47 | 1.29 |
| 10108 | ბოდიო გლიმტი-ლილესტრიომი | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10109 | ატვიდაბერგი-ლანდსკრონა | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |

### I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11101 | ტაილანდი-ბაჰრეინი | 4.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 10.00 | 3.60 | 20.00 |
| 11102 | სინგაპური-უზბეკეთი | 10.00 | 4.60 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11103 | თურქმენეთი-ჩრდ.კორეა | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.50 | 4.60 |
| 11104 | ირანი-საამიროები | 10.00 | 10.00 | 9.00 | 8.00 | 20.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 2.20 |
| 11105 | ყატარი-ჩინეთი | 3.60 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 10.00 | 4.00 |
| 11106 | სირია-კუვეიტი | 20.00 | 10.00 | 3.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11108 | ბოდიო გლიმტი-ლილესტრიომი | 3.30 | 4.80 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 |
| 11109 | ატვიდაბერგი-ლანდსკრონა | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 4.40 | 3.50 | 10.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|---|
| 12101 | ტაილანდი-ბაჰრეინი | 2,5 | 1.60 | 1.80 |
| 12102 | სინგაპური-უზბეკეთი | 2,5 | 1.60 | 1.80 |
| 12103 | თურქმენეთი-ჩრდ.კორეა | 2,5 | 1.60 | 1.80 |
| 12104 | ირანი-საამიროები | 2,5 | 1.60 | 1.80 |
| 12105 | ყატარი-ჩინეთი | 2,5 | 1.60 | 1.80 |
| 12106 | სირია-კუვეიტი | 2,5 | 1.60 | 1.80 |
| 12108 | ბოდიო გლიმტი-ლილესტრიომი | 2,5 | 2.00 | 1.60 |
| 12109 | ატვიდაბერგი-ლანდსკრონა | 2,5 | 1.90 | 1.70 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს. (ძირითადი დრო)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 13101 | ტაილანდი-ბაჰრეინი | 1.70 | 1.90 |
| 13102 | სინგაპური-უზბეკეთი | 1.70 | 1.90 |
| 13103 | თურქმენეთი-ჩრდ.კორეა | 1.70 | 1.90 |
| 13104 | ირანი-საამიროები | 1.70 | 1.90 |
| 13105 | ყატარი-ჩინეთი | 1.70 | 1.90 |
| 13106 | სირია-კუვეიტი | 1.70 | 1.90 |
| 13108 | ბოდიო გლიმტი-ლილესტრიომი | 1.50 | 2.10 |
| 13109 | ატვიდაბერგი-ლანდსკრონა | 1.60 | 2.00 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14101 | ტაილანდი-ბაჰრეინი | 2.00 | 1.80 |
| 14102 | სინგაპური-უზბეკეთი | 2.10 | 1.75 |
| 14103 | თურქმენეთი-ჩრდ.კორეა | 2.00 | 1.80 |
| 14104 | ირანი-საამიროები | 1.30 | 2.50 |
| 14105 | ყატარი-ჩინეთი | 1.85 | 1.95 |
| 14106 | სირია-კუვეიტი | 1.75 | 2.10 |
| 14108 | ბოდიო გლიმტი-ლილესტრიომი | 1.80 | 2.00 |
| 14109 | ატვიდაბერგი-ლანდსკრონა | 1.80 | 2.00 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15101 | ტაილანდი-ბაჰრეინი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15102 | სინგაპური-უზბეკეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15103 | თურქმენეთი-ჩრდ.კორეა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15104 | ირანი-საამიროები | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15105 | ყატარი-ჩინეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15106 | სირია-კუვეიტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15108 | ბოდიო გლიმტი-ლილესტრიომი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15109 | ატვიდაბერგი-ლანდსკრონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16101 | ტაილანდი-ბაჰრეინი | 1.80 | 1.80 |
| 16102 | სინგაპური-უზბეკეთი | 2.20 | 1.52 |
| 16103 | თურქმენეთი-ჩრდ.კორეა | 2.10 | 1.60 |
| 16104 | ირანი-საამიროები | 1.22 | 3.40 |
| 16105 | ყატარი-ჩინეთი | 1.80 | 1.85 |
| 16106 | სირია-კუვეიტი | 1.45 | 2.45 |
| 16108 | ბოდიო გლიმტი-ლილესტრიომი | 1.55 | 2.20 |
| 16109 | ატვიდაბერგი-ლანდსკრონა | 1.62 | 2.05 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17101 | ტაილანდი-ბაჰრეინი | 1.85 | 1.95 |
| 17102 | სინგაპური-უზბეკეთი | 1.85 | 1.95 |
| 17103 | თურქმენეთი-ჩრდ.კორეა | 1.85 | 1.95 |
| 17104 | ირანი-საამიროები | 1.85 | 1.95 |
| 17105 | ყატარი-ჩინეთი | 1.85 | 1.95 |
| 17106 | სირია-კუვეიტი | 1.85 | 1.95 |
| 17108 | ბოდიო გლიმტი-ლილესტრიომი | 1.85 | 1.95 |
| 17109 | ატვიდაბერგი-ლანდსკრონა | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

## ევრო 2008-ის კალენდარი

### ჯგუფური ეტაპი

**A ჯგუფი**

შვეიცარია, ჩეხეთი, პორტუგალია, თურქეთი

7 ივნისი

20:00 — შვეიცარია : ჩეხეთი — ბაზელი (სენტ იაკობ პარკი)
22:45 — პორტუგალია : თურქეთი — ჟენევა (სტად დე ჟენევ)

11 ივნისი

20:00 — ჩეხეთი : პორტუგალია — ჟენევა (სტად დე ჟენევ)
22:45 — შვეიცარია : თურქეთი — ბაზელი (სენტ იაკობ პარკი)

15 ივნისი

22:45 — შვეიცარია : პორტუგალია — ბაზელი (სენტ იაკობ პარკი)
22:45 — თურქეთი : ჩეხეთი — ჟენევა (სტად დე ჟენევ)

**B ჯგუფი**

ავსტრია, ხორვატია, გერმანია, პოლონეთი

8 ივნისი

20:00 — ავსტრია : ხორვატია — ვენა (ერნსტ ჰაპელი)
22:45 — გერმანია : პოლონეთი — კლაგენფურტი (ვიორტერზეე)

12 ივნისი

20:00 — ხორვატია : გერმანია — კლაგენფურტი (ვიორტერზეე)
22:45 — ავსტრია : პოლონეთი — ვენა (ერნსტ ჰაპელი)

16 ივნისი

22:45 — პოლონეთი : ხორვატია — კლაგენფურტი (ვიორტერზეე)
22:45 — ავსტრია : გერმანია — ვენა (ერნსტ ჰაპელი)

**C ჯგუფი**

ჰოლანდია, იტალია, რუმინეთი, საფრანგეთი

9 ივნისი

20:00 — რუმინეთი : საფრანგეთი — ციურიხი (ლეციგრუნდი)
22:45 — ჰოლანდია : იტალია — ბერნი (სტად დე სვის)

13 ივნისი

20:00 — იტალია : რუმინეთი — ციურიხი (ლეციგრუნდი)
22:45 — ჰოლანდია : საფრანგეთი — ბერნი (სტად დე სვის)

17 ივნისი

22:45 — ჰოლანდია : რუმინეთი — ბერნი (სტად დე სვის)
22:45 — საფრანგეთი : იტალია — ციურიხი (ლეციგრუნდი)

**D ჯგუფი**

საბერძნეთი, შვედეთი, ესპანეთი, რუსეთი

10 ივნისი

20:00 — ესპანეთი : რუსეთი — ინსბრუკი (ტიროლი)
22:45 — საბერძნეთი : შვედეთი — ზალცბურგი (ვალს-ზიცენჰაიმი)

14 ივნისი

20:00 — შვედეთი : ესპანეთი — ინსბრუკი (ტიროლი)
22:45 — საბერძნეთი : რუსეთი — ზალცბურგი (ვალს-ზიცენჰაიმი)

18 ივნისი

22:45 — საბერძნეთი : ესპანეთი — ზალცბურგი (ვალს-ზიცენჰაიმი)
22:45 — რუსეთი : შვედეთი — ინსბრუკი (ტიროლი)

| A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | მ | ფ | წ | ბ | ძ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 შვეიცარია | | | | | | | | | | |
| 2 ჩეხეთი | | | | | | | | | | |
| 3 პორტუგალია | | | | | | | | | | |
| 4 თურქეთი | | | | | | | | | | |

| B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | მ | ფ | წ | ბ | ძ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ავსტრია | | | | | | | | | | |
| 2 ხორვატია | | | | | | | | | | |
| 3 გერმანია | | | | | | | | | | |
| 4 პოლონეთი | | | | | | | | | | |

| C ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | მ | ფ | წ | ბ | ძ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ჰოლანდია | | | | | | | | | | |
| 2 იტალია | | | | | | | | | | |
| 3 რუმინეთი | | | | | | | | | | |
| 4 საფრანგეთი | | | | | | | | | | |

| D ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | მ | ფ | წ | ბ | ძ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 საბერძნეთი | | | | | | | | | | |
| 2 შვედეთი | | | | | | | | | | |
| 3 ესპანეთი | | | | | | | | | | |
| 4 რუსეთი | | | | | | | | | | |

*19 ივნისი 22:45 ბაზელი*

A1 – B2

*20 ივნისი 22:45 ვენა*

B1 – A2

*21 ივნისი 22:45 ბაზელი*

C1 – D2

*22 ივნისი 22:45 ვენა*

D1 – C2

*25 ივნისი 22:45 ბაზელი*

*26 ივნისი 22:45 ვენა*

*29 ივნისი 22:45 ვენა*

## მსაჯები



კონრად პლაუცი (43) – ეგონ ბერუტერი, მარკუს მაირი (ავსტრია)



ლუბოშ მიხელი (39) – რომან სლისკო, მარტინ ბალკო (სლოვაკეთი)



ფრანკ დე ბლეეკერე (41) – პეტერ ერმანსი, ალექს ვერსტრატენი (ბელგია)



რობერტო როზეტი (40) – ალესანდრო გრიზელი, პაოლო კალჩანო (იტალია)



ჰერბერტ ფანდელი (43) – კარსტენ კადახი, ფოლკერ ვეცელი (გერმანია)



ჰოვარდ ვები (36) – დარენ კენი, მაიკლ მალარკეი (ინგლისი)



მასიმო ბუზაკა (38) – მათიას არნე, სტეფან კუა (შვეიცარია)



პეტერ ვინკი (40) – ადრიაან ინია, ჰანს ტენ ჰოოვე (ჰოლანდია)



ტომ ჰენინგ ოვრებო (41) – გეირ აგე ჰოლენი, იან პეტერ რანდენი (ნორვეგია)



პეტერ ფროიდფელდტი (44) – სტეფან ვიტბერგი, ჰენრიკ ანდრენი (შვედეთი)



კიროს ვასარასი (41) – დიმიტრიოს ბოზაციდისი, დიმიტრიოს სარაიდარისი (საბერძნეთი)



მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (42) – ხუან კარლოს ხიმენესი, ხესუს კალვო გუადამურო (ესპანეთი)

### სათადარიგო არბიტრები

ივან ბებეკი — (ხორვატია)
გჟეგოჟ გილევსკი — (პოლონეთი)
სტეფან ლანუა — (საფრანგეთი)
ოლეგარიუ ბენკუერენსა — (პორტუგალია)
ვიქტორ კასაი — (უნგრეთი)
კრეიგ ტომსონი — (შოტლანდია)
კრისტიან იაკობსონი — (ისლანდია)
დამირ შკომინა — (სლოვენია)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი
# შესარჩევის ისტორია

**ავსტრია და შვეიცარია ევრო 2008-ს თანამასპინძლები არიან, დანარჩენმა 14-მა ნაკრებმა კი ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად საკმაოდ დიდი და რთული გზა გაიარა. გთავაზობთ ყველა შესარჩევი ჯგუფის მოკლე მიმოხილვას**

## I ჯგუფი

პოლონეთმა და პორტუგალიამ შესარჩევი ეტაპის ბოლოსღა გაინაღდეს ავსტრია-შვეიცარიის საგზურები. ამ ჯგუფში არაერთი მოულოდნელობა მოხდა, ხოლო ერთხელ სტადიონზე ბუც კი გამოჩნდა.

### სმოლიარეკის 9 გოლი

შესარჩევი ეტაპი პოლონეთმა ფინეთთან საშინაო მარცხით (1:3) დაიწყო, მაგრამ ამას ლეო ბეენჰაკერის შეგირდებისთვის ხელი არ შეუშლია, ქვეჯგუფებიდან პირველებს გაენაღდებინათ ევრო 2008-ის საგზური. გადამწყვეტი ერთი ტურით ადრე ბელგიასთან საშინაო მოგება (2:0) გამოდგა, ორივე გოლი პოლონელთა მთავარმეგოლემ ეუსებიუშ, იგივე ები სმოლიარეკმა გაიტანა.

### დიდი წარმატება

„ჯერ კიდევ ვერ ვგრძნობ და ვერ ვაცნობიერებ, რომ ისტორიულ შედეგს მივაღწიეთ“ — თქვა ბელგიასთან მატჩის შემდეგ ები სმოლიარეკმა.

ლეო ბეენჰაკერი:

„ეს ერთ-ერთი უდიდესი წარმატებაა ჩემს კარიერაში. ცუდად დავიწყეთ, მაგრამ ყველაფერი გამოვასწორეთ და შესარჩევი ეტაპი მაჟორულ ნოტაზე დავასრულეთ. კმაყოფილი ვარ და ფეხბურთელების წარმატება მახარებს, მათ მოკლე დროში შეძლეს სერიოზულ გუნდად ჩამოყალიბება. ბევრი პოლონელი გავაბედნიერეთ, ნაკრები კი ისტორიაში პირველად გავიდა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე“.

### უგოლო ფრე

პარალელურად, მეორე საგზურს ერთმანეთში პორტუგალია, სერბეთი და ფინეთი ეცილებოდნენ. ყველაფერი ბოლო ტურში გადაწყდა. ლუიშ ფელიპე სკოლარის გუნდმა შესარჩევ ეტაპზე მხოლოდ ერთი მატჩი წააგო (პოლონეთთან 1:2), მაგრამ მაინც გვარიანი ოფლისღვრა მოუხდა, რათა მეორე ადგილზე გასულიყო. პორტუგალიამ ეს ფინეთთან საშინაო უგოლო ფრით გაინაღდა. სკოლარიმ კი აღიარა — უნდა მოვუმატოთ, თორემ ავსტრია-შვეიცარიაში ასე არაფერი გამოვაო.

### ბუს გამოჩენა

გარკვეულწილად, ფინეთი ცოდოც კი გახლდათ, რადგან მთელი შესარჩევი ეტაპი მშვენივრად ჩაატარა და ისეთი ფაქტის მომსწრეც გახდა, როგორიც სტადიონზე ბუს გამოჩენაა. ჰელსინკიში, სადაც ფინელებმა ბელგიას 2:0 მოუგეს, სტადიონზე ბუმ შემოიფრინა, ცოტა ხანი ხარიხაზეც შემოჯდა, დაისვენა და გზა გააგრძელა.

### პორტერფილდის სიკვდილი

ფინეთის ნაკრების მწვრთნელის პოსტიდან როი ჰოჯსონი გადადგა. სერბებმა ხავიერ კლემენტე დაითხოვეს. შესარჩევი ეტაპის მსვლელობისას მწვრთნელი დაკარგა სომხეთმაც — შოტლანდიელი იან პორტერფილდი დიდი ხანი ებრძოლა კიბოს, მაგრამ... თუმცა მან მაინც მოასწრო მშვენიერი ნაკრების ჩამოყალიბება. სომხებმა შინ ფრედ ითამაშეს ფინეთთან, სერბეთთან და პორტუგალიასთან, აგრეთვე მოუგეს პოლონეთს.

„პორტერფილდის სიკვდილმა ძალიან დამწყვიტა გული. ცხადია, ვიცოდით, რომ იგი ავადმყოფობდა, მაგრამ მაინც გვჯეროდა, რომ გამოჯანმრთელდებოდა. ეს დიდი დანაკლისი გახლავთ“ — თქვა სომხეთის ნაკრების თავდამსხმელმა არმენ შახგელდიანმა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **პოლონეთი** | 14 | 8 | 4 | 2 | 24:12 | 28 |
| **პორტუგალია** | 14 | 7 | 6 | 1 | 24:10 | 27 |
| სერბეთი | 14 | 6 | 6 | 2 | 22:11 | 24 |
| ფინეთი | 14 | 6 | 6 | 2 | 13:7 | 24 |
| ბელგია | 14 | 5 | 3 | 6 | 14:16 | 18 |
| ყაზახეთი | 14 | 2 | 4 | 8 | 11:21 | 10 |
| სომხეთი | 12 | 2 | 3 | 7 | 4:13 | 9 |
| აზერბაიჯანი | 12 | 1 | 2 | 9 | 6:28 | 5 |


კრისტიან პანუჩი

## II ჯგუფი

საბოლოოდ ყველაფერი ისე დასრულდა, როგორც თავიდანვე ვარაუდობდნენ, მაგრამ შოტლანდიის ნაკრებმა მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ფინალისტებს, იტალიასა და საფრანგეთს სერიოზული კონკურენცია გაუწია და ბრიტანელებს სულ ცოტა დააკლდათ.

### იტალიელთა ტრიუმფი

2006 წლის მოგებული მუნდიალის მერე, „სკუადრა აძურას“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე მარჩელო ლიპი რობერტო დონადონიმ შეცვალა. მისმა შეგირდებმა გლაზგოში უმნიშვნელოვანესი მატჩის მიწურულს ვეტერანი კრისტიან პანუჩის გატანილი გოლით იმარჯვეს, რითაც ფაქტობრივად საფრანგეთის ნაკრებიც გაიყვანეს ფინალურ ეტაპზე. არადა, აპენინელები შესარჩევი ეტაპის მსვლელობისას სულაც არ ბრწყინავდნენ.

### ცუდი დასაწყისი

„სკუადრა აძურამ“, რომელმაც საბოლოოდ ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა, ძალიან ცუდად დაიწყო. იტალიელებმა შინ ლიტვასთან ფრედ (1:1) ითამაშეს და სტუმრად ფრანგებთან დამარცხდნენ (1:3). თუმცა დარჩენილ ათ შეხვედრაში აპენინელებმა მხოლოდ 2 ქულა დაკარგეს (შინ ფრედ ითამაშეს ფრანგებთან — 0:0).

### სიურპრიზი შოტლანდიისგან

იტალიასთან წაგების მერე, შოტლანდია ცოტა ხნით ჩრდილში აღმოჩნდა, მაგრამ საფრანგეთთან ორმა მოგებამ ბრიტანელები ევრო 2008-ზე მოხვედრის რეალურ კანდიდატებად აქცია. შოტლანდიამ „მამლებს“ შინ უოლტერ სმიტის თავოსნობით მოუგო 1:0, სტუმრად კი, იგივე ანგარიშით — ალექს მაკლიშის თავკაცობით.

### მოტივირებული დომენეკი

სანამ ფრანგების გარკვეული ნაწილი პანიკამ აიტანა, ნაკრების მწვრთნელი რაიმონ დომენეკი მშვიდად იყო და მაქსიმალური სიამოვნების მიღებას ცდილობდა.

„საფეთქელთან იარაღი გვაქვს მობჯენილი და ძალიანაც კარგი — ეს მოტივაციას გვმატებს. ჩვენი ვითარება სათასო ტურნირს ჰგავს — წააგებ და ვარდები. მთელი ძალით უნდა ვიბრძოლოთ და უკეთ გავისარჯოთ. თუ ჯგუფიდან გასვლა გვინდა, სამივე დარჩენილი მატჩი უნდა მოვიგოთ“ — ამბობდა დომენეკი.

### სენსაცია თბილისში

ბოლო ტურში უკრაინასთან ფრანგებს ფრეც ეყოთ, რადგან შოტლანდიამ შინ იტალიასთან წააგო. თუმცა ბრიტანელების მთავარ წარუმატებლობად და შეცდომად თბილისში 0:2 წაგება ითვლება. შეგახსენებთ, რომ ჩვენებმა ლევან მჭედლიძისა და დავით სირაძის გოლებით იმარჯვეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია** | 12 | 9 | 2 | 1 | 22:9 | 29 |
| **საფრანგეთი** | 12 | 8 | 2 | 2 | 25:5 | 26 |
| შოტლანდია | 12 | 8 | 0 | 4 | 21:12 | 24 |
| უკრაინა | 12 | 5 | 2 | 5 | 18:16 | 17 |
| ლიტვა | 12 | 5 | 1 | 6 | 11:13 | 16 |
| საქართველო | 12 | 3 | 1 | 8 | 16:19 | 10 |
| ფარერები | 12 | 0 | 0 | 12 | 4:43 | 0 |


ოტო რეჰაგელი

## III ჯგუფი

მსოფლიო ჩემპიონატზე ვერმოხვედრის შემდეგ, ევროპის მოქმედმა ჩემპიონმა საბერძნეთმა ევრო 2008-ის შესარჩევ ეტაპზე 31 ქულა მოაგროვა, რაც საუკეთესო შედეგი იყო ყველა გუნდს შორის. ამასთანავე, ბერძნებმა ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი მარცხი იწვნიეს.

### პრინციპული მეტოქეები

წილისყრამ ისტორიული მეტოქეები, საბერძნეთი და თურქეთი ერთ ჯგუფში მოახვედრა. პირველი სამი მატჩი ორივე ნაკრებმა მოიგო. 2007 წლის 24 მარტს კი თურქეთი ტრავმების გამო რამდენიმე წამყვანი მოთამაშის გარეშე ჩავიდა ათენში, მაგრამ მაინც მოიგო.

### მწარე მარცხი

ბერძნები სოტირიოს კირიაკოსმა მეხუთე წუთზე კი დააწინაურა, მაგრამ მერე, ოტო რეჰაგელის შეგირდებმა ბრწყინვალედ ათამაშებულ თურქებს ვერაფერი მოუხერხეს და საბოლოოდ 1:4 დამარცხდნენ.

„გატანილი გოლის მიუხედავად, თურქების მიერ შემოთავაზებულ ტემპს ვერ ავყევით, ისინი ყოველწუთას უმატებდნენ და დამსახურებულადაც იმარჯვეს“ — აღიარა მაშინ რეჰაგელმა.

### დაღმასვლა

თურქები ათენური მატჩის მოგებამ ძალიან გაახარა. ტრავმირებული ფეხბურთელების შემცვლელებს ფათიჰ თერიმმა გმირები უწოდა. თუმცა ამის მერე თურქების საქმე ცუდად წავიდა, მათ ფრედ ითამაშეს ნორვეგიასთან, მალტასა და მოლდოვასთან. ბერძნები კი პირიქით, მატჩს მატჩზე იგებდნენ.

### ბერძნების პასუხი

საბერძნეთმა საშინაო მარცხისთვის შური იძია და თურქებს სტამბოლში იოანის ამანატიდისის გოლით მოუგო, რითაც ავსტრია-შვეიცარიის საგზური გაინაღდა. ბერძნულმა პრესამ ნაკრების ფეხბურთელებს „იმპერატორები“ უწოდა. აი, თურქები კი მესამე ადგილზე ჩამოქვეითდნენ და ნორვეგიასთან ბრძოლა მოუხდათ.

### კონცენტრაცია

მიუხედავად ყველაფრისა, თურქებმა შეძლეს კონცენტრირება და ოსლოში ნორვეგიას 2:1 მოუგეს, რითაც საბოლოოდ ერთი ქულით გაასწრეს სკანდინავიელებს და მეორე ადგილზე გავიდნენ. ბოლო მატჩში თერიმის შეგირდებმა მინიმალური სხვაობით 1:0 იმარჯვეს ბოსნიასთან.

ფათიჰ თერიმი:

„ჩვენი შანსი რომ ვერ გამოგვეყენებინა, ვიღაცას პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება მოუწევდა და მე ამისთვის მზად ვიყავი. თუმცა, საბედნიეროდ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. პირობა დავდე, ფინალურ ეტაპზე გავალთ და იქ თავს საუკეთესოდ წარმოვაჩენთ-მეთქი, ამ პირობის პირველი ნაწილი შესრულდა, ახლა მეორეს დროა“.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **საბერძნეთი** | 12 | 10 | 1 | 1 | 25:10 | 31 |
| **თურქეთი** | 12 | 7 | 3 | 2 | 25:11 | 24 |
| ნორვეგია | 12 | 7 | 2 | 3 | 27:11 | 23 |
| ბოსნია | 12 | 4 | 1 | 7 | 16:22 | 13 |
| მოლდოვა | 12 | 3 | 3 | 6 | 12:19 | 12 |
| უნგრეთი | 12 | 4 | 0 | 8 | 11:22 | 12 |
| მალტა | 12 | 1 | 2 | 9 | 10:31 | 5 |

## IV ჯგუფი

ორ გამოკვეთილ ლიდერს, ჩეხეთსა და გერმანიას, ფაქტობრივად, არანაირი პრობლემა არ შექმნიათ. ამ ჯგუფში ალბათ ყველაზე უბრძოლველად და იოლად გათამაშდა ავსტრია-შვეიცარიის საგზურები.

### შეუჩერებელი გერმანია

მსოფლიოს ჩემპიონატის მერე, ბუნდესნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან წასული იურგენ კლინსმანის ადგილი იქამდე მის თანაშემწედ მომუშავე იოახიმ ლიოვმა დაიკავა და... გერმანიამ ცხრამატჩიანი წაუგებელი სერია შემოგვთავაზა და შესარჩევი ეტაპის დასრულებამდე სამი ტურით ადრე, ყველაზე ადრე გაინაღდა ევრო 2008-ის საგზური.

### პოდოლსკის პოკერი

სასტარტო შეხვედრაში ირლანდიასთან მოკრძალებული ანგარიშით (1:0) მოგების შემდეგ, გერმანელებმა სან მარინო 13:0 გაანადგურეს. ეს საეკორდო შედეგია ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში.

„ვიცოდით, რომ სან მარინო ჩვენს ჯგუფში ყველაზე სუსტი გუნდი იყო, და გვინდოდა, რაც შეიძლება მეტი გოლი გაგვეტანა“ — თქვა მატჩის შემდეგ გერმანელთა ფორვარდმა ლუკაშ პოდოლსკიმ, ვინც ოთხი ბურთი მიითვალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

**მოგება პრაღაში**

თავის მეხუთე მატჩში გერმანიამ კევინ კურანის დუბლით სტუმრად მოუგო მთავარ კონკურენტ ჩეხეთს. თუმცა კარელ ბრიუკნერის შეგირდებმა შური იძიეს და საბოლოოდ პირველ ადგილზე სწორედ ისინი გავიდნენ.

**რევანში მიუნხენში**

ჩეხებთან საშინაო მატჩამდე გერმანიას უკვე განაღდებული ჰქონდა ავსტრია-შვეიცარიის საგზური, მაგრამ ბუნდესნაკრების უსუსურ თამაშსა და 0:3 მარცხს ცოტა თუ ელოდა. გერმანელთა ბევრი ქომაგი, ცხადია, ძალიან უკმაყოფილო დარჩა. იოახიმ ლიოვისთვის ეს პირველი მარცხი გახლდათ მას მერე, რაც ნაკრების მწვრთნელი გახდა.

„ჯგუფიდან გასვლა ძალიან სასიხარულოა, მაგრამ ეს ორმაგად სასიამოვნოა იმის გათვალისწინებით, თუ რა შთამბეჭდავად მოვახერხეთ ეს“ — თქვა გერმანიასთან მოგებული მატჩის მერე ჩეხმა მცველმა დავიდ როზეჰნალმა.

**ლიოვის გეგმა**

ჩეხებმა სლოვაკეთსა და კვიპროსს მოუგეს, რითაც პირველი ადგილი შეინარჩუნეს. გერმანია კი უელსთან უგოლო ფრეს დასჯერდა. თუმცა ლიოვის გეგმა უცვლელი შედგა:

„ჩემი მიზანი სტაბილურობა და უახლოეს ათ წელიწადში გერმანიისთვის წამყვან ნაკრებებს შორის ადგილის შენარჩუნებაა. სწორ გზას ვადგავართ, მაგრამ გადამწყვეტ ფაზაში ჯერ არ შევსულვართ“.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ჩეხეთი** | 12 | 9 | 2 | 1 | 27:5 | 29 |
| **გერმანია** | 12 | 8 | 3 | 1 | 35:7 | 27 |
| ირლანდია | 12 | 4 | 5 | 3 | 17:14 | 17 |
| სლოვაკეთი | 12 | 5 | 1 | 6 | 33:23 | 16 |
| უელსი | 12 | 4 | 3 | 5 | 18:19 | 15 |
| კვიპროსი | 12 | 4 | 2 | 6 | 17:24 | 16 |
| სან მარინო | 12 | 0 | 0 | 12 | 2:57 | 0 |

## V ჯგუფი

ეს გახლდათ უდაძაბულესი ჯგუფი, ბევრი მოულოდნელობით, არაერთი დასამახსოვრებელი მატჩით და გვარიანი სენსაციით — ინგლისის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მიღმა დარჩა.

**დამსახურებული პირველი ადგილი**

ბრწყინვალედ მოთამაშე ჟინიანმა ხორვატებმა ავსტრია-შვეიცარიის საგზური შესარჩევი ეტაპის დასრულებამდე ორი ტურით ადრე გაინაღდეს.

„შეხედეთ მატჩების შედეგებსა და ცხრილს. ჩვენი თამაშით კარგად ვაჩვენეთ, თუ როგორ უნდა მიუდგე სპორტსა და ცხოვრებას ზოგადად“ — თქვა ხორვატების მწვრთნელმა სლავენ ბილიჩმა.

**ინგლისელების ფიასკო**

ისრაელის ნაკრებმა კარგად კი იბრძოლა, მაგრამ ბოლოს მეორე ადგილს მხოლოდ ინგლისი და რუსეთი ეცილებოდნენ ერთმანეთს. ინგლისმა ხორვატიასთან სტუმრად ნატურალიზირებული ბრაზილიელი ედუარდო და სილვასგან ორი გოლი მიიღო და დამარცხდა. თუმცა სტივ მაკლარენის შეგირდებმა შინ, რეკონსტრუირებულ „უემბლიზე“ დამაჯერებლად მოუგეს რუსეთს — 3:0, მაგრამ მოსკოვში, არცთუ ცუდი თამაშის მიუხედავად, 1:2 დამარცხდნენ და ყველაფერი ისევ ჩაიხლართა.

**საჩუქარი ისრაელისგან**

ფინალურ ეტაპზე გასასვლელად რუსეთს ისრაელსა და ანდორასთან მოგება ჰყოფნიდა, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად, უმოტივაციო ისრაელმა ინგლისს საჩუქარი გაუკეთა და რუსეთი შინ 2:1 დაამარცხა. ახლა ინგლისს ისღა რჩებოდა, საკუთარ კედლებში ხორვატიასთან არ წაეგო...

**რუნის არყოფნა**

ბოლო მატჩებში ინგლისს ლიდერი უიენ რუნი არ ჰყავდა, მაგრამ ყველაფრის ამაზე გადაბრალება არ შეიძლება. მაკლარენის გუნდმა შინ ვერაფერი გააწყო დიდებულად მოთამაშე და საბრძოლო ჟინით გაჟღენთილ ხორვატიასთან და 2:3 დამარცხდა. შედეგად, ინგლისი ჯგუფში ჩარჩა, რუსეთი კი ანდორასთან მოგებით (1:0) ნანატრ მეორე ადგილზე გავიდა.

„სიმართლე გითხრათ, ასეთ შოკისმომგვრელ ფინალს არ ველოდი, ძალიან ბედნიერები ვართ“ — თქვა რუსების ჰოლანდიელმა მწვრთნელმა გუს ჰიდინკმა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ხორვატია** | 12 | 9 | 2 | 1 | 28:8 | 29 |
| **რუსეთი** | 12 | 7 | 3 | 2 | 18:7 | 24 |
| ინგლისი | 12 | 7 | 2 | 3 | 24:7 | 23 |
| ისრაელი | 12 | 7 | 2 | 3 | 20:12 | 23 |
| მაკედონია | 12 | 4 | 2 | 6 | 12:12 | 14 |
| ესტონეთი | 12 | 2 | 1 | 9 | 5:21 | 7 |
| ანდორა | 12 | 0 | 0 | 12 | 2:42 | 0 |

## VI ჯგუფი

მიუხედავად ძალიან ცუდი სტარტისა, ესპანეთი მაინც დამაჯერებლად გავიდა პირველ ადგილზე. ცოტა ინერვიულა შვედეთმაც, მაგრამ სკანდინაველებმაც, ასე თუ ისე, უპრობლემოდ მოიპოვეს ევრო 2008-ის საგზური. აი ჩრდილოირლანდიელთა ოცნებას კი ახდენა არ ეწერა.

**ზეწოლა არაგონესზე**

ესპანეთმა ლიხტენშტაინთან დამაჯერებელი გამარჯვებით (4:0) დაიწყო, მაგრამ ამას ჩრდილოეთ ირლანდიასთან და შვედეთთან წაგებები მოჰყვა, რამაც დიდი აურზაური გამოიწვია და ბევრი ესპანელთა მწვრთნელის ლუის არაგონესის სასწრაფო გადადგომას ითხოვდა.

„რატომ უნდა გადავდგე? მესმის, ორი მარცხი კარგი არ არის, მაგრამ მრავალი წელია, ფეხბურთში ვარ და რთული ვითარებებიდან არაერთხელ გამოვსულვარ“ — ამბობდა მაშინ არაგონესი.

**გამოცდილება და კლასი**

ბებერმა არაგონესმა დაამტკიცა, რომ მართლაც დიდი გამოცდილების და მაღალი კლასის სპეციალისტია. დარჩენილ მატჩებში ესპანეთმა ოდენ ორი ქულა დაკარგა — სტუმრად ისლანდიასთან (1:1).

„ესპანეთი მრავალჯერ გასულა ევროპის თუ მსოფლიოს ჩემპიონატზე. ამიტომ, ეს წარმატება არ არის, უბრალოდ, ჩვენი საქმე გავაკეთეთ. მთავარი ამბები წინ არის“ — თქვა არაგონესმა მადრიდში შვედებთან 3:0 მოგების მერე, რითაც ესპანელებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ადგილი დაიბევეს.



დამარცხებული ინგლისელები

**ვაიქომაგის გამოხტომა**

კოპენჰაგენში გამართულმა სკანდინავიურმა დერბიმ მშვიდად ვერ ჩაიარა. როცა ანგარიში 3:3 იყო, მინდორზე დანიელი ვაიგულშემატკივარი გადმოხტა, რომელმაც მსაჯ ჰერბერტ ფანდელს დაარტყა, რადგან არბიტრმა წამით ადრე კრისტიან პოულსენი გააძევა და მასპინძელთა კარში პენალტი დანიშნა. საბოლოოდ, შვედებს ტექნიკური მოგება (3:0) ჩაეთვალათ.

**შავი დღე**

„ეს გახლდათ შავი დღე დანიური ფეხბურთის ისტორიაში, რომლის შემსწრეც 42 ათასი ქომაგი გახდა. დანიელი გულშემატკივრების რეპუტაცია ძალიან შეილახა ერთი სულელის გამო, რომელმაც საკუთარ თავზე კონტროლი დაკარგა“ — დაწერა ამ ინციდენტზე ერთ-ერთმა დანიურმა გაზეთმა.

ამ მარცხით დანიამ საბოლოოდ დაკარგა ავსტრია-შვეიცარიაში მოხვედრის შანსი. ორი საგზურისთვის ბრძოლას ესპანელებთან და შვედებთან ერთად ჩრდილოირლანდიელები აგრძელებდნენ.

**სანჩესის წასვლა**

ჩრდილოეთ ირლანდიამ შესარჩევი ეტაპი მართლაც ბრწყივალედ დაიწყო და ამაში ლომის წვლილი ნაკრების მწვრთნელ ლორი სანჩესს მიუძღვოდა, რომელმაც მოულოდნელად „ფულემის“ ჩაბარება გადაწყვიტა და ნაკრები მიატოვა. იგი ნაიჯელ უორთინგტონმა შეცვალა, მაგრამ ნაკლები წარმატებით. ჩრდილოირლანდიელებს საქმეები აერიათ. ისინი ბოლო მომენტამდე შანსს კი ინარჩუნებდნენ, მაგრამ... მათი ფორვარდი დევიდ ჰილი 13 გოლით შესარჩევი ეტაპის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ესპანეთი** | 12 | 9 | 1 | 2 | 23:8 | 28 |
| **შვედეთი** | 12 | 8 | 2 | 2 | 23:9 | 26 |
| ჩრდ. ირლანდია | 12 | 6 | 2 | 4 | 17:14 | 20 |
| დანია | 12 | 6 | 2 | 4 | 21:11 | 20 |
| ლატვია | 12 | 4 | 0 | 8 | 15:17 | 12 |
| ისლანდია | 12 | 2 | 2 | 8 | 10:27 | 8 |
| ლიხტენშტაინი | 12 | 2 | 1 | 9 | 9:32 | 7 |

## VII ჯგუფი

ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისთვის ამ ჯგუფში თავიდანვე სამი ნაკრები იბრძოდა. უფრო ძლიერები და იღბლიანები რუმინეთი და ჰოლანდია გამოდგნენ. ბულგარეთი კი, რომელმაც მხოლოდ ერთი მატჩი წააგო, ოდენ მესამე ადგილს დასჯერდა.

**მიღწევის გამეორება**

ვიქტორ პიცურკემ რუმინეთი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე 2000 წელსაც გაიყვანა, მაგრამ ტურნირის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე მოხსნეს. მომდევნო ევროპის ჩემპიონატზე რუმინელები ვერ გავიდნენ, ამჯერად კი იგივე პიცურკეს თამადობით მოხვდნენ ავსტრია-შვეიცარიაში.

„შვიდი წელი თავდაუზოგავი შრომა დაგვჭირდა, რათა ამისთვის მიგვეღწია. ძალიან გახარებულნი ვართ. ვწუხვარ, რომ წინა ჯერზე ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ვერ გავედით, მაგრამ ამიერიდან საწადელს ყოველთვის ავისრულებთ“ — თქვა რუმინელთა მეკარემ ბოგდან ლობონტმა.

**მოგება კონსტანცაში**

რუმინეთმა ევრო 2008-ის საგზური ლუქსემბურგთან მოგებით გაინაღდა, მაგრამ გარდამტეხი აღმოჩნდა კონსტანცაში ჰოლანდიასთან დორინ გოიანის გოლით მოპოვებული გამარჯვება. პირველი შეხვედრა ამ ნაკრებებს შორის უგოლოდ იყო დასრულებული...

**ერთადერთი მარცხი**

კონსტანცაში გამართულ მატჩამდე რუმინეთსა და ჰოლანდიას (ურთიერთშეხვედრაში ნათამაშებ ფრეს თუ არ ჩავთვლით) ქულები მხოლოდ ბულგარეთთან ჰქონდათ დაკარგული. მიუხედავად ამისა, ბულგარელები მოწინავე ორეულში ვერ მოხვდნენ. მათ ერთადერთი შეხვედრა ჰოლანდიელებთან წააგეს, ამსტერდამში 0:2.

**სამი მწვრთნელი**

სხვათა შორის, შესარჩევი ეტაპის განმავლობაში ბულგარეთმა სამი მწვრთნელი გამოიცვალა. თავიდან ამ პოსტზე ხრისტო სტოიჩკოვი იყო, რომლის გაწვრთნილი ნაკრებიც ალბანეთს ორჯერ ფრედ ეთამაშა და ბულგარელებს ეს ძვირად დაუჯდათ. სტოიჩკოვი სტანიმირ სტოილოვმა შეცვალა. მესამე თავკაცი კი დიმიტარ პენევი გახლდათ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **რუმინეთი** | 12 | 9 | 2 | 1 | 26:7 | 29 |
| **ჰოლანდია** | 12 | 8 | 2 | 2 | 15:5 | 26 |
| ბულგარეთი | 12 | 7 | 4 | 1 | 18:7 | 25 |
| ბელარუსი | 12 | 4 | 1 | 7 | 17:23 | 13 |
| ალბანეთი | 12 | 2 | 5 | 5 | 12:18 | 11 |
| სლოვენია | 12 | 3 | 2 | 7 | 9:16 | 11 |
| ლუქსემბურგი | 12 | 1 | 0 | 11 | 2:23 | 3 |



კასპერ ბოგელუნდი (შუაში) რომ არა, ჰერბერტ ფანდელს მავანი გიჟი დანიელი ფანისგან ცემა არ ასცდებოდა

**გიორგი ძაძაბაძე**

# ამხანაგური მატჩები



## დი ნატალემ კრიტიკას გაუტანა

**იტალია 3:1 ბელგია**

1:0, 2:0 დი ნატალე (9, 41), 3:0 კამორანეზი (49), 3:1 სონკი (90)

იტალია: ბუფონი, პანუჩი (გროსო 46), კანავარო (კიელინი 46), ბარცალი, ძამბროტა, გატუზო, პირლო, აკვილანი (ამბროზინი 75), კამორანეზი (კასანო 61), ტონი (ბორიელო 75), დი ნატალე (დელ პიერო 46)

მწვრთნელი: რობერტო დონადონი

მსაჯი: მარტინ ატკინსონი (ინგლისი)

12 500 მაყურებელი

**ანტონიო დი ნატალემ** დუბლი შეასრულა და მოაკეტინა მათ, ვინც ამბობდა, რომ ეს ფეხბურთელი ევროპის ჩემპიონატზე წასვლას არ იმსახურებდა. მეტიც — შესაძლოა, მწვრთნელმა დელ პიეროს და კასანოს ამჯობინოს და ჰოლანდიასთან ძირითად შემადგენლობაში გაამწესოს.

რობერტო დონადონიმ პირველ ტაიმში 4-3-3-ით ათამაშა გუნდი. ნახევარდაცვაში ალვილანი, გატუზო და პირლო იყვნენ, ხოლო შეტევაში — დი ნატალე, ტონი და კამორანეზი.

„უდიდესი პატივია მსოფლიოს ჩემპიონების გვერდით თამაში — თქვა დი ნატალემ — ჩემი გარჯით კმაყოფილი, გოლებით კი გახარებული ვარ“.

იტალიელები მეცხრე წუთზე დაწინაურდნენ. ფლანგიდან პირლოს ჩაწოდებულს „უდინეზეს“ ფორვარდმა მარჯვენა ფეხი შეაგება და მეკარე უშანსოდ დატოვა.

ტაიმის ბოლოს დი ნატალემ აკვილანის პასი შეირგო და სხვაობა ორამდე გაზარდა, ხოლო დონადონიმ დუბლის ავტორი მეორე ტაიმისთვის დელ პიეროთი შეცვალა.

დელ პიერომ თანაგუნდელ კამორანეზის მესამე გაატანინა — ბურთი სტიინენს ფეხებშუა გაუძვრა, მერე კი მარკო ბორიელომ მომენტი ვერ გამოიყენა, როცა ძამბროტამ მეკარეს შეატოვა.

მასპინძლები ბოლოს მოეშვნენ და უესლი სონკმა გაუტანა ბუფონს, რომელიც ბელგიელთა უგერგილობის გამო მანამადე უსაქმოდ იყო.

და ბოლოს — შეცვლაზე შესულ ანტონიო კასანოს ფლორენციელმა ქომაგებმა უსტვინეს.

## ნოემბრიდან მალტამდე

**ავსტრია 5:1 მალტა**

1:0 აუფჰაუზერი (8), 2:0 ლინცი (11), 2:1 მიფსუდი (41), 3:1 ლინცი (68პ), 4:1 ვასტიჩი (77), 5:1 ჰარნიკი (90)

ავსტრია: მანინგერი, შტრანცლი (პრიოდლი 83), გარიჩი, გერცალიუ (კატცერი 76), პოგატეცი (ჰიდენი 83), ივანშიცი, აუფჰაუზერი (ზაუმელი 76), ქორქმაზი (ჰარნიკი 46), ლიტგები, ლინცი, ჰოფერი (ვასტიჩი 58)

მწვრთნელი: იოზეფ ჰიკერსბერგერი

მსაჯი: რობერტ კრაინჩი (ხორვატია)

14 200 მაყურებელი

**ევროპის** ჩემპიონატის თანამასპინძელმა ავსტრიამ ნოემბრის შემდეგ პირველად, მეექვსე ცდაზე მოიგო. მეტოქე მალტა იყო და ავსტრიელებს გამარჯვება არ გასჭირვებიათ.

ნიგერიასთან ფრის (1:1) შემდეგ მწვრთნელმა იოზეფ ჰიკერსბერგერმა შემადგენლობაში ხუთი ცვლილება გააკეთა. კარში ალექს მანინგერი ჩადგა, დაცვაში რონალდ გერკალიუ გამოჩნდა, ნახევარდაცვაში — კრისტოფ ლიტგები და უმით ქორქმაზი, ხოლო შეტევაში — ერვინ ჰოფერი.

ანგარიში რენე აუფჰაუზერმა გახსნა — კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს თავი საგოლედ შეაგება.

სამი წუთის შემდეგ ჰოფერმა ლინცს კარის წინ გაუგორა და ფორვარდმა ორი მეტრიდან შეაგდო.

ტაიმის მიწურულს მალტელებმა ერთი გაქვითეს. მიფსუდი მეკარესთან პირისპირ გავიდა, შემოურბინა და ცარიელ კარში შეაგდო.

შესვენების შემდეგ როლანდ ლინცმა პენალტით სხვაობა ორამდე გაზარდა, ივიცა ვასტიჩმა კი ახლოდან მეოთხე მიაყოლა. ბოლოს მარტინ ჰარნიკმა გაახუთა სამსვლიანი კომბინაციის შედეგად, რომელიც ავსტრიელებმა საკუთარი ნახევრიდან დაიწყეს. წინ გამოსულ მეკარეს ჰარნიკმა საჯარიმოს ხაზიდან გაუტანა.

## კადლეცმა გახსნა

**ჩეხეთი 3:1 შოტლანდია**

1:0 სიონკო (60), 2:0 კადლეცი (84), 2:1 კლარკსონი (85), 3:1 სიონკო (90)

ჩეხეთი: ჩეხი, უიფალუში (როზენალი 46), რ. კოვაჩი, პოშპეხი (შივოკი 74), იანკულოვსკი (კადლეცი 46), სკაჩელი (პლაშილი 46), სიონკო, გალაშეკი, პოლაკი, მატეიოვსკი (იაროლიმი 46), კოლერი (სვერკოში 46)

მწვრთნელი: კარელ ბრიუკნერი

მსაჯი: ერიკ ბრაამჰაარი (ჰოლანდია)

11 314 მაყურებელი

**დაახლოებით** ერთი საათის განმავლობაში ჩეხები ამაოდ ცდილობდნენ შოტლანდიური დაცვის გატეხვას და ეს სიონკომ მოახერხა.

პირველ ტაიმში იან კოლერმა ორი მომენტი ვერ გამოიყენა, ერთხელ კი სტუმართა დებიუტანტ ფორვარდს ჯეიმს მორისონს შეეძლო გატანა.

მეორე ნახევარში კარელ ბრიუკნერმა ხუთი ფეხბურთელი შეცვალა და გუნდის თამაშსაც უკეთესობა დაეტყო. ზდენეკ პოსპეხმა სიონკოს ბურთი საჯარიმოში შეუყოლა და ფორვარდმაც ხუთი მეტრიდან შეაგდო.

სვერკოში პირისპირ გავიდა კრეიგ გორდონთან, მაგრამ მეკარემ აჯობა, ხოლო მიროსლავ კადლეცმა საჯარიმოს კუთხიდან გაიტანა და სანაკრებო გოლების ანგარიში გახსნა.

სქოთებმა წუთში უპასუხეს. გარი ნეისმიტმა მარცხნიდან ახლო ძელთან ჩააწოდა და კლარკსონმა კი ბურთი მეკარის ბაქანზე მიიღო, კარისკენ შებრუნდა და გაიტანა.

შოტლანდიელებმა გათანაბრება მოინდომეს და ჩეხებმა კონტრშეტევაზე მესამე შეაგდეს. ლიბორ სიონკო მცველება, არ წავაქციოთო, გორდონამდე მიაცილეს და ჩეხმაც ბურთს წვერი საგოლედ მისცხო.

## გახვრეტილი კედელი

**გერმანია 2:1 სერბეთი**

0:1 იანკოვიჩი (18), 1:1 ნოივილი (74), 2:1 ბალაკი (82)

გერმანია: ლემანი, ლამი (პოდოლსკი 46), მერტესაკერი (ფრიდრიხი 46), მეცელდერი, იანსენი (ვესტერმანი 84), ფრიცი, ფრინგსი (როლფესი 70), ბალაკი, შვაინშტაიგერი (ოდონკორი 79), კურანი (ნოივილი 70), გომესი

მწვრთნელი: იოახიმ ლიოვი

მსაჯი: ჟან ფუტრელი (საფრანგეთი)

20 000 მაყურებელი

**ჩემპიონატამდე** ბოლო ამხანგურ მატჩში გერმანია აგებდა, მაგრამ ბოლო თხუთმეტ წუთში თამაში გერმანულად შემოაბრუნა.

იოახიმ ლიოვმა მარიო გომესი და კევინ კურანი დააყენა ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ ეს ფორვარდები სერბთა დაცვასთან ვერაფერს გახდნენ.

მეთხუთმეტე წუთზე ბალაკმა თავით დაარტყა და ვიდიჩმა ბურთი კარის ხაზზე მოიგერია, მერე კი საშა ილიჩმა მასპინძელთა დაცვა ხელოვნური თამაშგარეს შექმნისას დასაჯა და ბოშკო იანკოვიჩი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა. იანკოვიჩმა ბურთი ლემანს ფეხებშუა გაუძვრინა და ანგარიში გახსნა.

ტორსტენ ფრინგსი საჯარიმოში წააქციეს და გერმანელები მსაჯისგან პენალტს ამაოდ ითხოვდნენ. ტაიმის ბოლომდე ერთი მომენტი გომესს ჰქონდა და მცველმა აჯობა, ბალაკს კი მეკარემ აუღო.

შეცვლაზე შესულმა პოდოლსკიმ მახვილი კუთხიდან სცადა გატანა, რასაც სერბთა შეტევა და ნაღდი საგოლე მომენტი მოჰყვა. რუკავინამ ფლანგიდან ჩააწოდა და იანკოვიჩის მიერ თავით დარტყმული ბურთი ხარიხას მოხვდა.

ამან გამოაფხიზლა იოახიმ ლიოვი, ვინც კევინ კურანის ნაცვლად ოლივერ ნოივილი შეუშვა, ამან კი ოთხ წუთში გაათანაბრა. ბალაკმა მარცხენა ფლანგზე იანსენს გააყოლა ბურთი, მის ჩაწოდებულს კი კარის წინ ნოივილი დაუხვდა და შანსი გამოიყენა.

გერმანელებმა მგრად შეუტიეს და ბალაკმა თავისივე წაქცევისთვის დანიშნული საჯარიმოთი იხეირა: დაახლოებით ოცი მეტრიდან დაარტყა, „კედელი“ გაიხსნა და ბურთი მეკარისგან მარჯვენა კუთხეში შევარდა.

„ძალიან სასიხარულოა, თამაშს რომ შემოაბრუნებ. ეს ბოლო ამხანაგური შეხვედრა იყო და ყველას გვსურდა, რომ ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვებულები წავსულიყავით. ასი პროცენტით მზად არ ვართ, მაგრამ გუნდს მატჩიდან მატჩამდე უკეთესობა ეტყობა“ — თქვა მიხაელ ბალაკმა.

## თურქილმაზი ჩამოაგდეს



ფრაის ანგარიშზე 34 სანაკრებო გოლია

**შვეიცარია 3:0 ლიხტენშტაინი**

1:0, 2:0 ფრაი (24, 31), 3:0 ფონლანტენი (68)

შვეიცარია: ბენალიო, ლიხტშტაინერი (დეგენი 59), მიულერი, სენდეროსი (გრიხტინგი 63), მანინი (შპიხერი 71), ფონლანტენი, ბეჰრამი (ჟიგა 55), ბელსონი (ჰუგელი 86), ინლერი, ფრაი, შტრელერი (იაკინი 59)

მწვრთნელი: იაკობ კუნი

მსაჯი: ლორან დუამელი (საფრანგეთი)

18 000 მაყურებელი

**შვეიცარიელებმა** არანაკლებ სუსტი მეტოქე მოძებნა საამხანაგოდ, ვიდრე ავსტრიელებმა, მაგრამ სენტ-გალენის ახალ სტადიონზე სამ გოლს დასჯერდა.

აქედან ორი ალექსანდერ ფრაიმ მიითვალა და ნაკრების ისტორიაში საუკეთესო მეგოლე გახდა. აქამდე რეკორდი კუბილაი თურქილმაზს ერთპიროვნულად ეკუთვნოდა (34), ფრაის კი ლიხტენშტაინამდე 32 ჰქონდა გატანილი.

სლოვაკეთთან მოგებული (2:0) მატჩის შემდეგ იაკობ კუნმა ერთი ფეხბურთელი შეცვალა. ტრავმირებული ტრანკილიო ბარნეტას ნაცვლად იოჰან ფონლანტენმა ითამაშა.

ალექსანდერ ფრაიმ პირველი გოლი თავით შეაგდო, მეორე, სარეკორდო კი ფეხით გაიტანა. მესამე ფონლანტენმა მიითვალა, როცა იაკინმა მეკარეს პირისპირ შეატოვა.

„ფრაიმ დაიმსახურა ეს რეკორდი — თქვა იაკობ კუნმა — ხშირი ტრავმიანობის გამო რთული პერიოდი გამოიარა, მაგრამ ბრძოლა არ შეუწყვეტია და არ დანებებულა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხანაგური მატჩები

## ნიკო კოვაჩი ორად გაიყო



**უნგრეთი 1:1 ხორვატია**
0:1 ნ. კოვაჩი (23), 1:1 ნ. კოვაჩი (45ს.კ.)
**ხორვატია:** პლეტიკოშა, ჩორლუკა, რ. კოვაჩი (კნეჟევიჩი 62), შიმუნიჩი, პრანჯიჩი, სრნა, კრანჩარი (ვუკოიევიჩი 78), ნ. კოვაჩი, მოდრიჩი, ოლიჩი (რაკიტიჩი 46), პეტრიჩი (კლასნიჩი 64)
მწვრთნელი: სლავენ ბილიჩი
მსაჯი: დამიენ ლედენტუ (შვეიცარია)
11 500 მაყურებელი

**ნიკო კოვაჩმა** ცხრამეტ წუთში დუბლი შეასრულა, მაგრამ მეორე გოლი არ გახარებია, რადგან საკუთარ კარში გაიტანა.

ორივე გოლი კუთხურს მოჰყვა. მასპინძელთა მეკარე გამოსვლისას შეცდა და ბურთი ხორვატს მიუვიდა, რომელმაც ხუთიოდ მეტრიდან შეაგდო.

უპირატესობა ხორვატების იყო და მასპინძლებს პირველ ტაიმში ერთი მომენტიც არ შეუქმნიათ, მაგრამ კოვაჩი დაეხმარათ. რამდენიმე ფეხბურთელი აზტა ბურთისთვის და კოვაჩს ავტოგოლი გამოუვიდა.

მეორე ტაიმში ორივე გუნდს ჰქონდა საგოლე შანსი. 54-ე წუთზე დუბლის ავტორს შეეძლო გატანა. მისი თავურის შემდეგ ბურთი ხარიხას, მერე კი ძელს მოხვდა და მეკარის ხელებში აღმოჩნდა.

უნგრელთა ახალი მწვრთნელისთვის, ჰოლანდიელი ერვინ კუმანისთვის ეს მეორე მატჩი იყო. წინა ამხანაგურ შეხვედრაში მადიარებმა ევროპის ჩემპიონი ბერძნები 3:2 დაამარცხეს.

ბუდაპეშტში თამაშამდე ოთხი ხორვატი ხულიგანი დააკავეს, რომლებიც პოლიციისკენ ქვების სროლით ერთობოდნენ.

## შეცვლაზე შესული გოლები

**რუმინეთი 4:0 ჩერნოგორია**
1:0 მუტუ (ნ), 2:0, 3:0, 4:0 დიკა (49, 55, 69)
**რუმინეთი:** ლობონტი (პოპა 46), კონტრა, ტამაში, კივუ (კრისტეა 47), რაცი, რადუ, რადოი (კოდრია 47), პეტრე, კოჩიში (დიკა 48), მუტუ (დ. ნიკულაე 48), მარიკა (მ. ნიკულაე 48)
მწვრთნელი: ვიქტორ პიცურკა
მსაჯი: ალექსანდრუ ტუდორი (რუმინეთი)
9 000 მაყურებელი

**მსოფლიოს** ჩემპიონატის შესარჩევში საქართველოს მეტოქე ჩერნოგორია რუმინეთმა დაამარცხა. თამაშის დასაწყისში მირკო ვუჩინიჩის წაქცევისთვის მსაჯმა მასპინძელთა კარში პენალტი დანიშნა. დარტყმა „რომას“ ფორვარდმა თავად ისურვა, მაგრამ ბოგდან ლობონტმა აუღო.

ამით გალაღებულმა რუმინელებმა შეუტიეს და კივუს პასით ადრიან მუტუმ გაიტანა. „ფიორენტინას“ მეგოლემ ბურთი საჯარიმოს ხაზთან მიიღო და მეკარისგან მარცხენა დაბალ კუთხეში დაარტყა.

შეცვლაზე შესულმა ნიკოლაე დიკამ სხაობა ოთხამდე გაზარდა. ჯერ კუთხურიდან ჩაწოდებულზე იხეირა და თავით ცხრიანში შეაგდო, ექვსი წუთის შემდეგ კი მეკარეს თავზე გადაავლო ბურთი. მანვე მოგვიანებით დაახლოებით 25 მეტრიდან დაბალ კუთხეში გაიტანა.




ნიკოლაე დიკა ჰეთ ტრიკით გამოირჩა

## დომენეკმა გამოიცნო

**საფრანგეთი 0:0 პარაგვაი**
**საფრანგეთი:** კუპე, კლერკი, ბუმსონგი, სკილაჩი, ევრა, მალუდა, მაკელელე (ლ. დიარა 46), ტულალანი (ნასრი 71), რიბერი (გოვუ 46), ანრი (გომისი 46), ბენზემა (ანელკა 63)
მწვრთნელი: რაიმონ დომენეკი
მსაჯი: პედრუ პროენცა (პორტუგალია)
33 418 მაყურებელი

**დიდი** უპირატესობის მიუხედავად, ფრანგებმა ბევრი საგოლე მომენტი ვერ შექმნეს და მეტოქეს უგოლოდ დაუზავდნენ.

გუნდს ვერც შეცვლაზე შესულმა ბაფეტიმბი გომისმა უშველა, ვინც ეკვადორთან წინა ამხანაგურ შეხვედრაში დუბლი შეასრულა.

რაიმონ დომენეკმა მატჩამდე თქვა, ვგრძნობ, რომ ნაკრები ევროჩემპიონატისთვის სათანადოდ მზად არისო და მისი ვარაუდი პარაგვაისთან გამართლდა.

ყველაზე გამორჩეული „ლიონის“ ფორვარდი ქარიმ ბენზემა იყო, რომელსაც მეორე წუთზე მეკარე ხუსტო ვილიარმა 25 მეტრიდან დარტყმული აუღო.

ამის მერე ჯერ ანრიმ, მერე ედგარ ბარეტომ საჯარიმოები შეასრულეს, მაგრამ კარს ვერ დაუმიზნეს.

შემდეგ ბენზემამ ძელს შეაწყვიტა ბურთი, ხოლო როკე სანტა კრუსს გრეგორი კუპემ არ გაატანინა.

32-ე წუთზე ისევ „ლიონის“ მეგოლემ დაჰკრა, მაგრამ ბურთი კარში მცველმა არ შეუშვა.

ანრის და რიბერის ნაცვლად მეორე ტაიმში შესული გოვუ და გომისი გუნდს ვერაფრით შეეწივნენ და კვლავ ბენზემა ყოჩაღობდა. საჯარიმო დაარტყა და ვილიარმა კუთხურზე მოიგერია.

ერთ ეპიზოდში ფრანგები ლასანა დიარამ იხსნა, როცა ბურთი კარის ხაზიდან თავით გამოიტანა.

აქვე ვთქვათ, რომ პატრიკ ვიეირამ ეს შეხვედრა კუნთის ტრავმის გამო გამოტოვა და მომდევნო ამხანაგურშიც ვერ ითამაშებს. მას იგივე ტრავმა გაუმიზეზდა, რომელსაც მარტში ორი კვირა მკურნალობდა.

საფრანგეთი მომდევნო ამხანაგურ მატჩს ხვალ პარიზში კოლუმბიასთან ითამაშებს.

## არაგონესი თხუთმეტის გახდა

**ესპანეთი 2:1 პერუ**
1:0 ვილია (37), 1:1 რენგიფო (73), 2:1 კაპდევილია (90)
**ესპანეთი:** კასილიასი, ს. რამოსი, პუიოლი, მარჩენა, კაპდევილია, ხავი (სენა 46), ხაბი ალონსო (ფაბრეგასი 46), ინიესტა (კასორლა 59), დ. სილვა (სერხიო გარსია 82), ვილია (დე ლა რედი 56), ფ. ტორესი (გუისა 46)
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
მსაჯი: ოლეგარიუ ბენკუერენსა (პორტუგალია)
15 000 მაყურებელი

**ბოლო** წუთზე გატანილი გოლით ესპანეთმა უელვაში პერუს მოუგო და წაუგებელი სერია 15 მატჩმდე გაზარდა.

მთელი თამაშის განმავლობაში მასპინძლები დომინირებდნენ, მაგრამ გამარჯვებისა ბოლოსლა შეაგდეს.

მეოთხე წუთზე ანდრეს ინიესტას დარტყმული ბურთი მცველებმა კარის ხაზიდან გამოიტანეს. მერე დავიდ სილვას ჰქონდა მომენტი, მაგრამ კვლავ მცველმა იყოჩაღა, ხოლო მეცამეტე წუთზე ხავიმ ხარიხა შეაზანზარა.

ასეთი დასაწყისის შემდეგ ესპანეთმა ტაიმის შუაში უკლო და სულ უფრო და უფრო უჭირდა მეტოქის დაცვის გარღვევა, თუმც შესვენებამდე მაინც დაწინაურდა.

ინიესტა წააქციეს, მაგრამ ბურთი ხავის დარჩა და მსაჯმა თამაში არ შეწყვიტა. ხავის პასი კი ვილიამ შეირგო და ანგარიში გახსნა.

არაგონესმა მეორე ტაიმისთვის სამი ცვლილება გააკეთა და მისმა გუნდმა ისევ ცალკარა გააჩაღა. 50-ე წუთზე დავიდ სილვას ლეაო ბუტრონმა აუღო, მერე კი ნელნელა პერუც გაშინაურდა და იკერ კასილიასმა ორი მოიგერია.

მასპინძელთა მწვრთნელმა ამის შემდეგ რუბენ დე ლა რედი და სანტი კასორლა შეუშვა, რომლებისთვისაც ეს სანაკრებო დებიუტი იყო. კასორლამ მალევე სცადა გატანა, მაგრამ ბუტრონმა არ დაანება, დასრულებამდე თექვსმეტი წუთით ადრე კი მარჩენას შეცდომას გოლი მოჰყვა. მცველმა ბურთი რენგიფოსკენ მოიგერია, რომელმაც თავურით შეაგდო.

კასორლას და გუისას ჰქონდათ მომენტები, თუმც პერუელთა მეკარე მაგრად იდგა. ბოლოს კი მასპინძლები მეტოქის საჯარიმოს მიაწყდნენ და ფაბრეგასის პასით კაპდევილამ გაიტანა.

## სიკვდილი ლიფტში

**ასეთ** დროს ამბობენ, უაზროდ დაიღუპაო და სწორედ ამ უაზრობის გამოა ეს სიკვდილი განსაკუთრებით შემზარავი.

ლისაბონის „სპორტინგისა“ და პორტუგალიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი კარლუშ ალინიუ ანგოლაში ჩავიდა, იქაურ საუკეთესო კლუბ „მაიოსთან“ სამწვრთნელო კონტრაქტის გასაფორმებლად.

კონტრაქტი სასტუმროშივე გააფორმა, მერე კი ლიფტი გამოიძახა, მე-6 სართულზე, თავის ნომერში ასასვლელად. კარი რომ გაიღო, კაბინა არ დახვდა და ლიფტის შახტაში ჩახედვა მოინდომა. თავი რომ შეყო, სწორედ მაშინ ჩამოვიდა კაბინა ზემოდან...

**ძოტე ძებელია**

## იტალია

### სერია B. XLII ტური

ასკოლი — ტრიესტინა 3:1; აველინო — ბრეშა 1:1; ბოლონია — პიზა 1:0; კიევო — ბარი 2:2; ფროზინონე — ალბინოლეფე 2:2; ლეჩე — ვიჩენცა 1:0; პიაჩენცა — მანტოვა 3:3; რავენა — ჩეზენა 0:0; რიმინი — მესინა 3:0; სპეცია — გროსეტო 2:2; ტრევიზო — მოდენა 1:1

#### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიევო | 42 | 24 | 13 | 5 | 77:43 | 85 |
| ბოლონია | 42 | 24 | 12 | 6 | 58:29 | 84 |
| ლეჩე | 42 | 23 | 14 | 5 | 70:29 | 83 |
| ალბინოლეფე | 42 | 23 | 9 | 10 | 67:48 | 78 |
| ბრეშა | 42 | 20 | 12 | 10 | 59:40 | 72 |
| პიზა | 42 | 19 | 14 | 9 | 61:44 | 71 |
| რიმინი | 42 | 20 | 9 | 13 | 68:46 | 69 |
| ასკოლი | 42 | 16 | 14 | 12 | 64:49 | 62 |
| მანტოვა | 42 | 16 | 12 | 14 | 56:49 | 60 |
| ფროზინონე | 42 | 15 | 11 | 16 | 63:67 | 56 |
| ბარი | 42 | 13 | 16 | 13 | 50:55 | 55 |
| ტრიესტინა | 42 | 13 | 12 | 17 | 55:67 | 51 |
| გროსეტო | 42 | 10 | 19 | 13 | 47:54 | 49 |
| მესინა | 42 | 13 | 10 | 19 | 38:62 | 49 |
| მოდენა | 42 | 11 | 15 | 16 | 57:63 | 48 |
| პიაჩენცა | 42 | 13 | 8 | 21 | 43:59 | 47 |
| ტრევიზო | 42 | 11 | 12 | 19 | 41:52 | 45 |
| ვიჩენცა | 42 | 10 | 15 | 17 | 43:60 | 45 |
| აველინო | 42 | 8 | 12 | 22 | 42:64 | 36 |
| რავენა | 42 | 8 | 11 | 23 | 48:75 | 35 |
| სპეცია | 42 | 6 | 15 | 21 | 43:66 | 32 |
| ჩეზენა | 42 | 5 | 17 | 20 | 37:66 | 32 |

„სპეციას" დაკლებული აქვს 1 ქულა

### სერია C. პლეი ოფი ფინალი. I მატჩები

ჩიტადელა 0:1 კრემონეზე

ტარანტო 0:0 ანკონა

## იაპონია

### თასის V ტური

ომია — ნიიგატა 1:1; ოიტა — იოკოჰამა 2:2; კიოტო — ნაგოია 1:2; ივატა — ვერდი 3:0; ტოკიო — შიმიცუ 1:1; კავაზაკი — საპორო 2:0; კაშივა — იჩიჰარა 1:1; კობე — ურავა 2:1

## სლოვენია

### I ლიგა. XXXVI ტური

დრავა პტუი — დომჟალე 0:1; ინტერბლოკი — პრიმორიე 1:2; ნაფტა — კოპერი 1:0; ნოვა გორიცა — ივანჩნა გორიცა 6:1; პუბლიკუმი — მარიბორი 0:2

## დანია

### I დივიზიონი. XXVIII ტური

ფკ ორჰუსი — ჰვიდოვრე 1:2; ჰელერუპი — ნესტვედი 0:0; სიონდერისკე — ნიკობინგი 0:0; აკადემისკი — იოლსტიკე 3:0; ფრედერიცია — ფრემი 4:1; ჰერფიოლგე — ვაილე 1:4; კოლდინგი — სკივე 3:2; სილკებორგი — კოგე 3:0

## ირლანდია

### პრემიერლიგა. XIV ტური

ბოჰემიანსი — სლიგო 3:0; ბრეი — შემროკი 1:0; გალვეი — სენტ პატრიკსი 2:2; დუბლინი — ფინ ჰარპსი 1:0; კობი — დროჰედა 0:4; დერი — კორკი 2:3

## აშშ

### მეიჯორ ლიგა. XI ტური

ნიუ ინგლენდი — ვაშინგტონი 2:2; ტორონტო — ლოს ანჯელესი 2:0; ჰიუსტონი — ნიუ იორკი 1:0; სოლტ ლეიკი — სან ხოსე 3:1; ჩივასი — კოლუმბუსი 2:0, კოლორადო — დალასი 2:1

## ისლანდია

### I დივიზიონი. V ტური

ფიოლნირი — ბრეიდაბლიკი 1:2; თროტური — კეფლავიკი 3:2; აკრანესი — ფილკირი 2:3. გრინდავიკი — ჰაფნარფიორდური, რეიკიავიკი — ფრამი და კოპავოგური — ვალიური დღეს გაიმართება

## ბრაზილია

### სერია A. IV ტური

ფიგეირენსე — გოიასი 0:0; ინტერნასიონალი — სპორტ რესიფე 1:1; ვასკუ და გამა — გრემიო 2:1; კურიტიბა — კრუზეირო 1:1; იპატინგა — ვიტორია 2:0; ნაუტიკო — ბოტაფოგო 3:0; სანტოსი — სან პაულუ 0:0. ატლ. მინეირო — პორტუგეზა, ფლუმინენსე — ფლამენგო და პალმეირასი — ატლ. პარანენსე წუხელ გვიან დამთავრდა

## მექსიკა

### კლაუსურა. პლეი ოფი ფინალი. საპასუხო მატჩი

სანტოსი — კრუზ ასული (2:1)

წუხელ გვიან დამთავრდა

## ნორვეგია

### ტიპელიგა. IX ტური

ბრანი — მიოლდე 4:3; ალესუნდი — სტრიომსგოდსეტი 3:1; ფრედრიკსტადი — სტაბეკი 0:3; რუსენბორგი — ვიკინგი 2:0; ლინი — ვოლერენგა 2:0. ბოდიო გლიმტი — ლილესტრიომი დღეს გაიმართება, ჰამ კამი — ტრომსიო გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტაბეკი | 9 | 7 | 2 | 0 | 18:4 | 23 |
| ფრედრიკსტადი | 9 | 5 | 1 | 3 | 15:11 | 16 |
| ბოდიო გლიმტი | 8 | 4 | 2 | 2 | 10:8 | 14 |
| ბრანი | 9 | 4 | 2 | 3 | 15:16 | 14 |
| რუსენბორგი | 9 | 4 | 1 | 4 | 14:10 | 13 |
| ლინი | 9 | 4 | 1 | 4 | 13:10 | 13 |
| ტრომსიო | 8 | 3 | 3 | 2 | 6:4 | 12 |
| სტრიომსგოდსეტი | 9 | 3 | 3 | 3 | 10:11 | 12 |
| ვიკინგი | 9 | 4 | 0 | 5 | 12:15 | 12 |
| ვოლერენგა | 9 | 3 | 2 | 4 | 9:10 | 11 |
| მიოლდე | 9 | 2 | 4 | 3 | 11:12 | 10 |
| ალესუნდი | 9 | 3 | 0 | 6 | 15:19 | 9 |
| ლილესტრიომი | 8 | 1 | 3 | 4 | 7:15 | 6 |
| ჰამ კამი | 8 | 1 | 2 | 5 | 6:16 | 5 |

### I დივიზიონი. IX ტური

ჰაუგესუნდი — ოდ გრენლანდი 1:4; ბრინი — ლოვ ჰამი 1:0; მოსი — კონგსვინგერი 1:1; ნოტოდენი — ალტა 5:3; სანდეფიორდი — ჰოდი 2:2; სანდნესი — სტარტი 2:2; სოგნდალი — სპარტა 0:1. ტრისილი — ჰონეფოსი გადაიდო

## ესპანეთი

### სეგუნდადივიზიონი XL ტური

ელჩე — ლას პალმასი 1:4; ხიმნასტიკო — გრანადა 3:2; ფეროლი — ალავესი 1:1; სოსიედადი — სალამანკა 1:1; სპორტინგი — კორდობა 2:1; სელტა — ტენერიფე 2:2; სევილია B — ერკულესი 3:4; ხერესი — პოლი ეხიდო 1:0; ნუმანსია — კასტელიონი 2:2; ალბასეტე —ეიბარი 1:0; მალაგა — კადისი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნუმანსია | 40 | 22 | 10 | 8 | 57:35 | 76 |
| სპორტინგი | 40 | 19 | 12 | 9 | 59:39 | 69 |
| მალაგა | 40 | 19 | 11 | 10 | 56:41 | 68 |
| სოსიედადი | 40 | 18 | 13 | 9 | 52:35 | 67 |
| კასტელიონი | 40 | 15 | 13 | 12 | 41:36 | 58 |
| ლას პალმასი | 40 | 15 | 11 | 14 | 50:52 | 56 |
| ერკულესი | 40 | 13 | 15 | 12 | 63:54 | 54 |
| ელჩე | 40 | 14 | 12 | 14 | 44:47 | 54 |
| სელტა | 40 | 13 | 13 | 14 | 53:49 | 52 |
| ხიმნასტიკი | 40 | 12 | 16 | 12 | 47:47 | 52 |
| სევილია B | 40 | 13 | 13 | 14 | 39:46 | 52 |
| სალამანკა | 40 | 11 | 18 | 11 | 47:42 | 51 |
| ტენერიფე | 40 | 11 | 17 | 12 | 48:54 | 50 |
| ეიბარი | 40 | 13 | 10 | 17 | 41:49 | 49 |
| ალბასეტე | 40 | 12 | 12 | 16 | 34:39 | 48 |
| ხერესი | 40 | 11 | 15 | 14 | 46:56 | 48 |
| ფეროლი | 40 | 11 | 14 | 15 | 45:50 | 47 |
| კადისი | 40 | 12 | 11 | 17 | 39:46 | 47 |
| კორდობა | 40 | 10 | 16 | 14 | 48:55 | 46 |
| ალავესი | 40 | 10 | 15 | 15 | 35:43 | 45 |
| გრანადა | 40 | 10 | 14 | 16 | 43:55 | 44 |
| პოლი ეხიდო | 40 | 11 | 9 | 20 | 35:52 | 42 |

## ბელგია

### პლეი ოფი. V ტური

ანტვერპენი 0:1 ტუბეკე

ოუდ ევერლე 0:1 ლომელი

## ამხანაგური მატჩები

**ლატვია 1:0 ესტონეთი**

1:0 ლაიზანსი (48პ)

**გვატემალა 0:0 სალვადორი**

**ჰონდურასი 1:1 ვენესუელა**

1:0 მენდოსა (1), 1:1 მალდონადო (78პ)

**ლიტვა 1:0 ესტონეთი**

1:0 მინიგურსკისი (87)

**ბრაზილია 3:2 კანადა**

1:0 დიეგო (4), 1:1 ფრენდი (11), 2:1 ლუიშ ფაბიანო (44), 2:2 დე გუსმანი (56), 3:2 რობინიო (63)

**ჰოლანდია 2:0 უელსი**

1:0 რობენი (35), 2:0 სნეიდერი (54)

**ლატვია 2:1 ლიტვა**

1:0 გორკსი (57), 2:0 ალუნდერისი (80ს.კ.), 2:1 ბენიუსისი (84)

**პოლონეთი 1:1 დანია**

0:1 ვინგაარდი (28), 1:1 კრჟინოვეკი (43)

**შვედეთი 0:1 უკრაინა**

0:1 ნაზარენკო (83)

**სომხეთი 0:0 საბერძნეთი**

**ბოსნია 1:0 აზერბაიჯანი**

1:0 ნიკოლიჩი (73)

**გვატემალა 0:1 პანამა**

0:1 გარკესი (69)

**ტრინიდადი — ინგლისი**

წუხელ გვიან დამთავრდა

**ფინეთი — ბელარუსი**

დღეს გაიმართება

### ახალგაზრდულები

**ლატვია 1:0 ლიტვა**

**ჰოლანდია 2:0 პორტუგალია**

**შვედეთი 1:1 საფრანგეთი**

## შვედეთი

### სუპერეტა. VIII ტური

სირიუსი — ენჩიოპინგი 2:1; დეგერფორსი — ფალკენბერგი 2:1; იონჩოპინგი — ქვიდინგი 2:1; ბანკუელო — შეკენი 2:1; იორგრიტე — ასირისკა 0:4; ანგელჰოლმი — მიალბი 1:1. ატვიდაბერგი — ლანდსკრონა დღეს გაიმართება, ვასბი — ნორჩიოპინგი გადაიდო

## სლოვაკეთი

### I ლიგა. XXXIII ტური

ბანსკა ბისტრიცა — კოშიცე 3:0; დუბნიცა — არტმედია 0:2; ნიტრა — ტრენჩინი 3:0; სენეცი — რუჟომბეროკი 2:2; ტრნავა — სლოვანი 0:1; მორავცე — ჟილინა 1:6

## გერმანია

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XXXVI ტური

ბაბელსბერგი — ალენი 1:3; ბრაუნშვაიგი — დორტმუნდი (მ) 2:0; კოტბუსი (მ) — დინამო 1:1; ერფურტი — დიუსელდორფი 0:4; ქელნი — ლიუბეკი 0:1; უნიონი — ობერჰაუზენი 0:3; ვერდერი (მ) — ფოლი 0:2; ვოლფსბურგი (მ) — ემდენი 0:0; ვუპერტალი — მაგდებურგი 1:2

### სამხრეთ რეგიონალლიგა XXXIV ტური

ბაიერნი (მ) — აალენი 0:1; ელვერსბერგი — კიკერსი 0:2; ჰესენი — ბურგჰაუზენი 1:1; ინგოლშტადტი — უნტერჰახინგი 2:0; კარლსრუე (მ) — ოგერშაიმი 1:0; რეგენსბურგი — ფრანკფურტი 0:2; პფულენდორფი — მიუნხენი (მ) 0:1; ზიგენი — როიტლინგენი 2:1; შტუტგარტი (მ) — ზანდჰაუზენი 4:0

## არგენტინა

### კლაუსურა. XVII ტური

როსარიო — ტიგრე 4:2; არგ. ხუნიორსი — ლანუსი 3:0; ინდეპენდიენტე — რასინგი 0:0; ხიმნასია (ხ) — სან მარტინი 3:1; ბანფილდი — ოლდ ბოისი 0:1; კოლონი — რივერ პლეიტი 1:2; ურაკანი — ესტუდიანტესი 1:1. ხიმნასია (ლ) —ველესი 2:1; ოლიმპო — სან ლორენსო 3:2. ბოკა ხუნიორსი — არსენალი წუხელ გვიან დამთავრდა



# ბრაზილიურ ლეგენდას მანჩესტერში ელიან

**ამბობენ,** რომ „მანჩესტერ სიტის" ახალი მწვრთნელი ბრაზილიური ფეხბურთის ლეგენდა ზიკო იქნება.

მოგეხსენებათ, კლუბის ტაილანდელმა მეპატრონემ თაქსინ შინავატრამ შვედი სვენ-გორან ერიკსონი თანამდებობიდან დაითხოვა და, როგორც ამბობენ, მისი მრჩევლები ყველა ღონეს ხმარობენ, 55 წლის ზიკო რომ დაიყოლიონ.

და სტამბოლის „ფენერბაჰჩე"? ამ კლუბთან ბრაზილიელს კონტრაქტის ვადა ერთ თვეში ეწურება და, რაც მთავარია, ის არ მალავს, რომ ძველ ადგილზე ახალი ხელშეკრულების გაფორმებას არ აპირებს.

არადა, ვისზე არ იყო ბოლო დროს ლაპარაკი. როგორც კი გაირკვა, რომ შინავატრა ერიკსონს თანამდებობიდან უშვებს, იმწუთას დაიწყეს ცნობილი გვარების ჩამოთვლა: ლუიშ ფელიპე სკოლარი, ავრაამ გრანტი, მარკ ჰიუზი...

ცოტა ხნის წინ კი „მანჩესტერ სიტის" ახალგაზრდული საერთაშორისო დეპარტამენტის შეფად ბრაზილიელი რობერტო კარლუშ დე კარვალიუ მიიყვანეს და ზიკოს იდეაც მერე წამოტივტივდა — ამ კაცს ზიკოსთან მჭიდრო კონტაქტები ჰქონია.

კიდევ საინტერესოა, რომ სულ ცოტა ხნის წინ შინავატრას ტაილანდში რობერტო დე ასისმა ჩააკითხა, ეს საფეხბურთო აგენტი კი, მოგეხსენებათ, რონალდინიუს ძმა გახლავთ და მისი და „სიტის" მეპატრონის საუბარიც ბარსელონელის გადაბირებას ეხებოდა.

რასაკვირველია, თუ შინავატრა რონალდინიუს გადაბირებას შეძლებს, ზიკო მის გუნდში მისვლით კიდევ უფრო მოიხიბლება.

შეგახსენებთ, ზიკოს ხელმძღვანელობით „ფენერბაჰჩემ" ჩემპიონთა ლიგის ბოლო გათამაშებაში მეოთხედფინალს მიაღწია და იქ „ჩელსის" გაუწია საკმაოდ სერიოზული წინააღმდეგობა. ერთი სიტყვით, 80-იანი წლების დიდი ვარსკვლავი სერიოზული სპეციალისტია და თუ გეგმის თანახმად, „სიტიმ" ოფიციალურად ამ კვირის ბოლოს შესთავაზა თანამდებობა, მანჩესტერში მისი ჩასვლის ვადაც მალევე გაირკვევა.

**პაატუნა ძიძია**

## მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

### აფრიკა. I ტური

მალავი — ჯიბუტი 8:1; უგანდა — ნიგერი 1:0; ტანზანია — მავრიკიუსი 1:1; ბოტსვანა — მადაგასკარი 0:0; რუანდა — მავრიტანია 3:0; ნამიბია — კენია 2:1; კამერუნი — კაბო ვერდე 2:0; ტოგო — ზამბია 1:0; მაროკო — ეთიოპია 3:0; სენეგალი — ალჟირი 1:0; ანგოლა — ბენინი 3:0; ეკვატორული გვინეა — სიერა ლეონე 2:0; ბურუნდი — სეიშელი 0:0; ლიბერია — გამბია 1:1; კოტ დივუარი — მოზამბიკი 1:0; ნიგერია — სამხრეთ აფრიკა 2:0; გვინეა — ზიმბაბვე 0:0; განა — ლიბია 3:0; მალი — კონგო 4:2; ტუნისი — ბურკინა ფასო 1:2; ეგვიპტე — კონგოს დრ 2:1. გაბონი — ლესოტო და სუდანი — ჩადი გადაიდო

## მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

### აზია. III ტური

სამხრეთ კორეა — იორდანია 2:2; ავსტრალია — ერაყი 1:0. იაპონია — ომანი, ტაილანდი — ბაჰრეინი, თურქმენეთი — ჩრდილოეთ კორეა, სინგაპური — უზბეკეთი, ირანი — საამიროები და სირია — ქუვეითი დღეს გაიმართება, ყატარი — ჩინეთი და საუდის არაბეთი — ლიბანი კი ხვალ

## ევროპის 2009 წლის U-19 ჩემპიონატი

### შესარჩევი ეტაპი

**ბელარუსი 0:0 ინგლისი**

**სერბეთი 0:1 პოლონეთი**

**საფრანგეთი 0:2 იტალია**

**შვეიცარია 4:1 შვედეთი**


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი აზვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქანქლაძე



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge


სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00